www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი 20 დეკემბერი, 2008 წელი. №285 (2029) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭური ნომერი
*2424

გულმოწყალების მოლოდინი საპყრობილეში A7

ქართული დამწერლობა - გასაგები ყველასთვის A11

აბსოლუტური მსოფლიო A15

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი

დიპლომატიური ქიდილი

განცხადებები ევროსაბჭოს დასკვნის შემდეგ

დიმიტრი ავალიანი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში "უსაფრთხოების" საკუთარი ხედვა კიდევ ერთხელ გაახმოვანა. კრემლი ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასა და საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის აკრძალვას ითხოვს.

იმავდროულად, საქართველოს საგარეო უწყება ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის შუალედურ მემორანდუმს გამოეხმაურა და საერთაშორისო თანამეგობრობას, რუსეთის მხრიდან პროვოკაციების აღსაკვეთად და ახალი შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, სასწრაფო ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

"ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ კავკასიის კრიზისის საკითხებში ჩრდილში მოვექცეთ," - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და აღნიშნა, რომ რუსეთი **"რეგიონში უსაფრთხოების საკითხის გადაჭრას ცდილობს."**

"პირველ რიგში, საქართველომ უნდა აიღოს ვალდებულება, არ გამოიყენოს ძალა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ, ასევე უნდა შემუშავდეს შეთანხმება საქართველოსთვის იარაღის მიწოდების შეჩერების, ასევე სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიის შედეგების დაძლევის შესახებ," - ჩამოთვალა ლავროვმა "უსაფრთხოების საკითხის გადაჭრის მიმართულებები."

გაგრძელება A3 გვერდზე

ჯორჯ ბუში ჩრდილში დარჩენას ამჯობინებს

ხათუნა გაბიევი

ჯორჯ ბუშს, რომელსაც 2009 წლის 20 იანვარს თეთრ სახლში ბარაკ ობამა შეცვლის, არ სურს შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ კიდევ დარჩეს საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. ასეთი განცხადება მან ტელეარხ "C-Span-ისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ვაშინგტონის ამჟამინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გაუჭირდა პასუხის გაცემა კითხვაზე თუ მისი აზრით, როგორ ამპლუაში იქნებოდა სარგებლის მომტანი ქვეყნის მომავალი ხელისუფლებისთვის.

"რის გაკეთებასაც არ ვისურვებდი ავანსცენაზე დარჩენაა. საზოგადოებამ მთელი ყურადღება ახლად არჩეულ პრეზიდენტ ობამაზე უნდა გადაიტანოს, მე კი მეტისმეტად დიდი პატივისცემით მოვეპყრობი მას მისი პრეზიდენტობისას," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

გაგრძელება A7 გვერდზე



ბუშს გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს

გურამ ქართველიშვილის კიდევ ერთი ისტორიული ამბავი

ახმეტელის სახელობის თეატრში საპრემიერო დღეებია

თამარ კიკნაველიძე

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში პრემიერა შედგა.

ამ თეატრის შემოქმედებითმა ჯგუფმა, რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის ხელმძღვანელობით, განახორციელა გურამ ქართველიშვილის პიესა, სახელწოდებით - "ცერკოვნი ბუნტ - 1819 წელი". სპექტაკლში აქცენტი ისტორიული ფაქტებით გაჯერებულ ტექსტზეა გაკეთებული და კიდევ, მსახიობ აკაკი ხიდაშელზე, რომელმაც ხოსია იაშვილის სახე შექმნა.

ის ფაქტი, რომ პიესის ავტორი გურამ ქართველიშვილია, ბევრ რამეზე მიუთითებს. უპირველესად კი, ავტორის მიერ შემოთავაზებული ნაწარმოების თემატიკაზე. მაყურებელს აუცილებლად ეცოდინება, რომ მარჯანიშვილის თეატრში, რეჟისორ ლევან წულაძის მიერ განხორციელებული პიესის - "ქაქუჩა ჩოლოყაშვილი" ავტორი სწორედ გურამ ქართველიშვილია. მანამდე, ამავე ავტორის პიესა, სახელწოდებით - "ქრონიკები", რეჟისორმა ოთარ ეგაძემ "ვაკის თეატრალურ სარდაფში" დადგა. ამჯერად კი, ქართველიშვილის მიერ გააზრებული ისტორიული მოვლენები საქართველოს უახლოესი წარსულიდან ახმეტელის სახელობის თეატრის სცენაზე გათამაშდა.

ძალიან რთულია აღიქვა სპექტაკლი, როდესაც გაყინულ დარბაზში ზიხარ და არც პროგრამა არსებობს, რომ დასის ახალ და მაყურებლისთვის, შედარებით, უცნობ წარმომადგენლებს გაეცნო. შესაბამისად, გიჩნდება კითხვა - ამ თეატრს ასე უჭირს? თუმცა, ეს, ალბათ, სულ სხვა თემაა სასაუბროდ და სჯობს, სხვა დროს მივუბრუნდე. ერთადერთი, რაც შემიძლია ვივარაუდო, ის არის, რომ ასეთ პირობებში მუშაობა, ალბათ, შემოქმედებით ჯგუფსაც უძნელდება.

გაგრძელება A10 გვერდზე

აშშ სოხუმსა და ცხინვალში დანიელ ორტეგას დაგეგმილ ვიზიტს აპროტესტებს

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენელი შონ მაკკორმაკი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნიკარაგუას პრეზიდენტის მომავალ სტუმრობას "არაკონსტრუქციულად" აფასებს, რადგან, მისი თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სიტუაციის დარეგულირების პოლიტიკური პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. **პირველი**

"ეფ-ეს-ბე" საქართველოს შესახებ

რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიურო საქართველოს სპეცსამსახურების აგენტურული ქსელის შესახებ ალაპარაკდა. "ეფ-ეს-ბე"-ს უფროს ალექსანდრ ბორტნიკოვის განცხადებით, საქმე რუსეთის ხუთი მოქალაქის წინააღმდეგ არის აღძრული, მათ საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობისთვის ფო ბრალად ედებათ სახელმწიფო ღალატი. ბორტნიკოვის თქმით, ისინი ქართველებს სამხედრო ობიექტების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში ეხმარებოდნენ. **პირველი**

სეპარატისტები თვითმფრინავის ჩამოგდებით იმუქებიან

ცხინვალის ფაქტობრივი მთავრობის მტკიცებით, გუშინ 6:10 საათზე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე დაარღვია ქართულმა უპილოტო მფრინავმა ობიექტმა, რომელიც 2500 მეტრის სიმაღლეზე დაფრინავდა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასეევის თქმით, "თუკი უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი კიდევ ერთხელ გამოჩნდება რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, ცხინვალი იძულებული იქნება, ის ჩამოადგოს." საქართველოს შინასგან საქმეთა სამინისტრო სეპარატისტების ბრალდებას უარყოფს. **პირველი**

ოსეთის ე. წ. უფლებათადამცველი ქალები აშშ-ში ჩავიდნენ

ვაშინგტონში სამხრეთ ოსეთის ქალთა ასოციაციის - "დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისათვის" - ექვსკაციანმა დელეგაციამ შეხვედრები გამართა. მათ საკუთარი პოზიციები გააცნეს ამერიკელი სენატორისა და კონგრესმენის თანაშემწეებს, რომელთა მეშვეობითაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ამერიკელ კანონმდებლებს მიმართეს თხოვნით, ჩაატარონ მოსმენები აშშ-ს კონგრესში. სამხრეთ ოსეთის ირგვლივ აგვისტოს სამხედრო კონფლიქტის მიზეზების გასარკვევად. სახელმწიფო დეპარტამენტში ოს ქალებთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს. დეპარტამენტის წარმომადგენელ რობერტ ვუდის თქმით, "ჩვენ გვინდა ადამიანთა ფართო სპექტრთან შეხვედრა სამხრეთ ოსეთიდან და წარმოდგენის შექმნა იმის შესახებ, როგორი სიტუაციაა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და რა მდგომარეობაა ადგილზე." **მედიანიუსი**

ტროტუარზე გაჩერება აიკრძალება

პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომაზე "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონში ცვლილების ინიციატივა წამოჭრეს. კანონპროექტის თანახმად, იკრძალება სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ტროტუარზე. გარდა იმ ადგილებისა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის და აღმასრულებელი ორგანოს მიერ სატრანპორტო საშუალების პარკირებისთვის არის განსაზღვრული. **პირველ**

შუამავალი ნატო-საქართველოს შორის

2009-2011 წლებში ლატვია საქართველოსა და ნატო-ს შორის ე.წ საკონტაქტო საელჩოს ფუნქციას შეასრულებს. რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ამის შესახებ ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება. "საკონტაქტო საელჩოს" ამოცანაა, ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამყარების ხელშეწყობა, ალიანსის პოლიტიკისა და მიზნების შესახებ ინფორმირება.

ამგავრი საელჩოების ქსელი ნატო-ში 1990 წლის დასაწყისში შეიქმნა. ლატვია მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ნატო-ში ინტეგრირებისთვის და აქტიურობს, რათა საქართველოს ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმა მიენიჭოს. 2004-2006 წლებში ლატვიამ "საკონტაქტო საელჩოს" ფუნქცია ნატო-სა და შვედეთს შორის შეასრულა, ხოლო 2007-2008 წლებში - ნატო-სა და ფინეთს შორის. **ინტერპრესნიუსი**

"ნაციონალების" როტაცია

პარლამენტის სხდომამ რურუას ადგილმონაცვლედ "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიის რიგით მომდევნო წევრობის კანდიდატი გიორგი ხახნელიძე ცნო. ის პარტიულ სიაში რიგით 52 იყო, რურუა კი - რიგით 24-ე. გიორგი ხახნელიძე ამ დრომდე თბილისის საკრებულოში ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" უმრავლესობის თავმჯდომარე იყო. საკრებულოში ხახნელიძეს წევრობის სტატუსი მას შემდეგ შეუწყდება, რაც ცესკო-ს გადაწყვეტილებას პარლამენტში დაამტკიცებენ. **პირველი**

ხანგრძლივი და ურთულესი გზა

ჟენევის მოლაპარაკებების მესამე რაუნდის შეფასებები

ვერიკო თევზაძე

უშედეგოდ დასრულებული ჟენევის მოლაპარაკების რიგით მესამე რაუნდი ექსპერტებისა და პოლიტოლოგებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მეტიც, პოლიტოლოგ გია ნოდიას შეფასებით, იმედები არც თებერვალში დაგეგმილ მომდევნო რაუნდზე უნდა დავამყაროთ, ვინაიდან გაეროს ფორმატში მიმდინარე დებატები, "შედეგზე ორიენტირებული არ არის".

სტრატეგიის და საერთაშორისო კვლევების ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე "24 საათთან" საუბრისას აცხადებს, რომ ზოგადად, ჟენევის მოლაპარაკებების შეფასება ჭირს, ვინაიდან საზოგადოებას ამ საკითხის თაობაზე მწირი ინფორმაცია მიეწოდება. **"ჟენევის პროცესი არასაკმარისად შუქდება. ძალიან ცოტა ინფორმაცია გვაქვს იმის შესახებ, რეალურად რა ხდება მოლაპარაკების ამა თუ იმ რაუნდზე. იმისათვის, რომ მოლაპარაკებები შეფასდეს, უნდა ვიცოდეთ, რა პოზიციებზე არიან მხარეები, როგორ წარიმართება უშუალოდ პროცესი, რა ხელისშემშლელი ან ხელისშემწყობი ფაქტორები მოქმედებდა იქ და ა. შ. ყოველივე ამის მიხედვით შეიძლება გაირკვეს, რამდენად ახლოს ვიყავით ან რა მანძილი გვაშორებდა სასურველ შედეგს".**

რაც შეეხება უშუალოდ მესამე რაუნდს, არჩილ გეგეშიძის განცხადებით, თუ ტელევიზიით გავრცელებულ ინფორმაციას განვაზოგადებთ, შეიძლება მომავალში მოკრძალებულ შედეგს ველოდოთ. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკებები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. **"ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ მხარეები კონკრეტული დოკუმენტის შეჯერებულ ვარიანტზე მსჯელობდნენ და ერთი-ორი პუნქტის გარდა, ყველაფერზე შეთანხმდნენ. სწორედ ამ ორი პუნქტის გამო დოკუმენტი ვერ იქნა მიღებული და შეხვედრაც უშედეგოდ ჩაითვალა. საბოლოო ჯამში, მოლაპარაკებათა შემდგომ რაუნდში, სავარუდოდ, შედეგი უნდა გაუმჯობესდეს".**

როგორც გეგეშიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მთავარია, შუამავალმა მხარეებმა - ფასილიტატორებმა წინა მოლაპარაკებების პრაქტიკა და გამოცდილება გაიზიარონ და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა მომდევნო რაუნდზე მხარეები ერთმანეთს უფრო დაახლოებული პოზიციებით შეხვდნენ.

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ექსპერტ თორნიკე შარაშენიძის შეფასებით, მესამე რაუნდის უშედეგობა მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. **"საქართველოს ამ ეტაპზე მოთმინება მართებს,"** - დასძენს შარაშენიძე. ექსპერტი მიიჩნევს, რომ დრო რუსეთის საზიანოდ მოქმედებს. კერძოდ, შარაშენიძე იმედოვნებს, რომ კრიზისში მყოფი რუსეთი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, იძულებული გახდება, დასავლეთთან დათმობაზე წავიდეს.

"ჟენევის მოლაპარაკებების მთავარი ფუნქცია არ არის ის, რომ მან გარკვეული შედეგი გამოიღოს. ეს ფორმატი გულისხმობს, რომ მხარეებს შორის, უბრალოდ, არსებობდეს კონტაქტები. აქედან გამომდინარე, განსხვავება პირველ, მეორე, მესამე და შემდეგ რაუნდებს შორის არის ძალზე პირობითი, ნაკლებად მნიშვნელოვანი," - განუცხადა "24 საათს" ნოდიამ.

ჩვენს შეკითხვაზე - უნდა გაგრძელდეს თუ არა მოლაპარაკებები? - ნოდია პასუხობს, რომ მოლაპარაკებების არსებობით, ამ პროცესის გაგრძელებით საერთაშორისო თანამეგობრობა არის დაინტერესებული. რაც შეეხება საქართველოს მხარეს, ნოდიას განმარტებით, საქართველომ ამ პროცესში მონაწილეობა "საკუთარი იმიჯისთვის" უნდა მიიღოს. ამით ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ის კონსტრუქციულია, არ არის ექსტრემისტი... მაგრამ **"ამასთანავე,** - შენიშნავს ნოდია, **- მოლაპარაკების პროცესში საქართველომ არ უნდა დათმოს პრინციპული პოზიციები".**

იმავე მოსაზრებას ავითარებს კავკასიის მშვიდობის და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი დავით აფრასიძე. **"ჟენევის ფორმატი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. მთავარია ამ პროცესში მოხდეს მხარეთა დაახლოება, პირადი კონტაქტების დამყარება და გაღრმავება. ეს არის ხანგრძლივი და ურთულესი გზა, რომელიც აუცილებლად უნდა გავიაროთ. ამასთანავე, უნდა დავუმტკიცოთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ჩვენ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მომხრეები ვართ და მთლიანად ვართ მოლაპარაკების პროცესში ჩართული,"** - აცხადებს დავით აფრასიძე "24 საათთან" საუბრისას.

ჯორჯ ბუშის ინსტიტუტში ლექციებს სააკაშვილიც წაიკითხავს

შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკური აქტივობის შეწყვეტას არ აპირებს. უახლოეს ხანებში ის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ინსტიტუტს დააარსებს, სადაც ლექციებს ბრიტანეთის ექს-პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წაიკითხავენ.

ჯორჯ ბუშის პრესმდივანი დანა პერინო გუშინ თეთრი სახლის პრესმდივნის რანგში უკანასკნელად წარუდგა საზოგადოებას. პერინოს თქმით, საქართველოს ლიდერმა განათლება აშშ-ში მიიღო და დღეს დემოკრატიული რეფორმების გატარებას თავის ქვეყანაში ცდილობს. მას დემოკრატიისათვის ბრძოლის გზაზე, რა თქმა უნდა, გარკვეული პრობლემები ექმნება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამოცანას ღირსეულად ართმევს თავს. "ვფიქრობ, სწორედ ასეთმა ადამიანებმა უნდა გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება მომავალ პრეზიდენტებსა და პოლიტიკურ ლიდერებს," - განაცხადა დანა პერინომ.

ჯორჯ ბუშის პრესმდივანი დარწმუნებულია, რომ "საქართველოსთან მუშაობა კვლავ გაგრძელდება. ამ ქვეყანამ დემოკრატიული პრინციპების ათვისების დიდი გამოცდილება მიიღო. ყველა ადამიანს სურს ისეთ თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება, როგორიც შეერთებული შტატებია, თუმცა ჯერჯერობით ამ მიმართულებით ყველაზე წინ სწორედ საქართველო მიიწევს," - დასძინა პერინომ.

დანა პერინო ბრუკინგის უნივერსიტეტში მომავალი პრეზიდენტისა და მედიის ურთიერთობაზე მსჯელობისთვის იყო მისული. მან ჟურნალისტებს პრესასთან ახალი პრეზიდენტის მომავალი ურთიერთობის დეტალები გააცნო. ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ბრიფინგების ინტერნეტ-ფორმას მიანიჭებს უპირატესობას.

საკუთარი ინფორმაცია

კონგრესმენები შიდა ქართლში

საქართველოში ვიზიტად მყოფი აშშ-ს კონგრესის დემოკრატიის დახმარების კომისიის წევრები გუშინ გორში ჩავიდნენ. დელეგაცია, კონგრესის "დემოკრატ" წევრის ალისონ შვორცის ხელმძღვანელობით, შიდა ქართლის გუბერნატორ ლადო ვარძელაშვილს შეხვდა. საუბრის თემა იყო აგვისტოს მოვლენები.

კონგრესმენებს ასევე აინტერესებდათ, როგორ ხორციელდება რეგიონში აშშ-ს მიერ გამოყოფილი დახმარებით დაფინანსებული პროგრამები. შიდა ქართლის გუბერნატორ ლადო ვარძელაშვილის თქმით, "კონგრესმენები დაგვპირდნენ, რომ USAID-ის პროგრამით გაზაფხულიდან ყოფილი ბუფერული ზონის ყველა დაზარალებული მცხოვრები ისარგებლებს, რაც გულისხმობს მათთვის მიწის დამუშავებას და საუკეთესო ჯიშის ხორბლის დათესვას".

"ჯი-ეიჩ-ენი"

უცხოური დახმარების მონიტორინგი

საქართველოსთვის დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ თანხების ხარჯვას მონიტორინგს გაუწევს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "გამჭვირვალე დახმარება საქართველოსთვის".

გუშინ კოალიციის წევრმა შვიდმა ორგანიზაციამ: "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა", "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა", "კივიტას გეორგიკამ", "მწვანე ალტერნატივამ", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ", და "ფონდმა ღია საზოგადოება - საქართველომ" წარმოადგინეს კოალიციის გეგმები ფინანსური დახმარების ხარჯვის მონიტორინგის შესახებ.

გუშინვე მათ ხელი მოაწერეს კოალიციის თანამშრომლობის მემორანდუმს.

"ჯი-ეიჩ-ენი"

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

დიპლომატიური ქიდილი

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, საქართველო კვლავ განაგრძობს შეიარაღებას. მან ასევე აუცილებლად მიიჩნია საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთისათვის გაზის მიწოდების განახლება. მისი თქმით, მან ეს საკითხი ეუთო-სა და ევროკავშირის წინაშე დააყენა და **"თბილისს მიუვიდა სიგნალი ამ საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტის თაობაზე."** ქართული მხარის არგუმენტები გაზსადენის დაზიანების შესახებ მან **"არასერიოზულად"** მიიჩნია.

ლავროვმა ასევე აუცილებელი უწოდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ღონისძიებებზე სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობას, რათა **"მათ, ვინც ქართული აგრესია გადაიტანა, უშუალოდ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები."**

მან ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას **"მედვედევი-საკროზის" გეგმის შინაარსი განემარტოს."**

რუსეთსა და ეუთო-ს შორის მოლაპარაკებათა ერთ-ერთ ამოცანად ლავროვმა **"საქართველოს მილიტარიზაციის ხელშეწყობის ახალი მცდელობების აღკვეთა"** დაასახელა. მით უმეტეს, რომ, მისი თქმით, **"საქართველოს გადაიარაღებას ვაშინგტონი ჰპირდება."**

ლავროვის განცხადების პარალელურად, საქართველოს საგარეო უწყების კომენტარი გავრცელდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე წინასწარი, განმარტებითი მემორანდუმის გამოქვეყნებას, - ნათქვამია საგარეო უწყების მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში. შუალედური მემორანდუმი მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2 ოქტომბრის რეზოლუციის შესრულებას მხარეთა მიერ.

მომხსენებლებმა, ბელგიელმა ლუკ ვან დენ ბრანდემ და უნგრელმა მათიას იორშიმ, შეშფოთება გამოხატეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ დაძაბულობისა და პროვოკაციების ესკალაციის გამო, რასაც შესაძლოა საქართველოსა და რუსეთს შორის **"დაპირისპირების ან საომარი მოქმედებების განახლება"** მოჰყვეს.

მომხსენებლებმა აღნიშნეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებელთა შესვლის მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატის შემუშავება მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილურობის აღსადგენად. მათ, აგრეთვე, მოუწოდეს რუსეთს, დაუყოვნებლივ აღკვეთოს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე **"ძარცვის, მარდიორობისა და ეთნიკური წმენდის"** ფაქტები, რისი გაკეთებაც აქამდე ვერ შეძლეს.

შუალედური მოხსენების თანახმად, საქართველომ ასამბლეის მიერ შემუშავებულ რეზოლუციაში წაყენებული მოთხოვნებიდან **"შეასრულა უმეტესი, მაგრამ არა ყველა,"** ხოლო რუსეთს **"ჯერ არ შეუსრულებია ასამბლეის მიერ დადგენილი ბევრი ძირითადი მოთხოვნა."**

საქართველოს საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ თანამომხსენებლების მიერ გამოხატული შეშფოთება კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა. კერძოდ, რუსული ჯარების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან 17 დეკემბერს გახსნილი ცეცხლის შედეგად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სოფელ ხურვალეთში, პოლიციის საგუშაგოზე ქართველი პოლიციელი დაიჭრა.

"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიიღონ სასწრაფო ზომები რუსული პროვოკაციული ქმედებებისა და საქართველოში ახალი საომარი მოქმედებების დაწყების თავიდან ასაცილებლად," - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

საგამოძიებო კომისიის შედეგები პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის საშემოდგომო სესია დასრულდა. გუშინდელი პლენარული სხდომის შემდეგ სესია ოფიციალურად დაიხურა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დეპუტატები საახალწლო არდადეგებზე მიდიან - მომავალი კვირიდან საკანონმდებლო ორგანო მუშაობას რიგგარეშე სესიის ფორმატში გააგრძელებს. გუშინდელ, ბოლო პლენარულ სხდომაზე კი პარლამენტარების ყურადღების ცენტრში აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნა მოექცა. კომისიის თავმჯდომარის პაატა დავითაიას თქმით, სამთვიანი მუშაობის შედეგად მოძიებული მასალები ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით შექმნილ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიას გადაეცემა. თავის მხრივ, პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე პირობას იძლევა, რომ, თუ ეს კომისია ახალ დამატებით გარემოებებს გამოავლენს, საქართველოს ხელისუფლებას ამაზე შესაბამისი რეაგირება ექნება.

"კომისიამ, პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით, წარმატებული და მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია," - აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის საქმიანობას მაღალ შეფასებს აძლევს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომელმაც გუშინ კომისიის ის სხდომაც გაიხსენა, რომელზეც მას სპიკერის მაგიდის მეორე მხრიდან უწევდა კომისიის წევრთა კითხვებზე პასუხის გაცემა.

ბაქრაძე მიიჩნევს, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიის სახით, შეიქმნა პრეცედენტი და ახალი სტანდარტი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების ურთიერთობებში. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ მომავალში ასეთი ტიპის კომისიების შექმნის აუცილებლობა აღარ იარსებებს.

რაც შეეხება თავად კომისიის დასკვნას, ეს დოკუმენტი საკმაოდ მოცულობითია. მასში განხილულია რუსეთ-საქართველოს ომი, მისი წარმოშობის წინაპირობები და შეიცავს ამ ომის სამართლებრივ შეფასებებს. გარდა ამისა, დასკვნაში საუბარია ომის პერიოდში საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა რგოლების მუშაობაში გამოვლენილ ხარვეზებზე. კრიტიკა, ძირითადად, ეხება საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს. ამასთან, ხაზგასმულია, რომ აგვისტოს მოვლენების დროს, მთავრობის ცალკეული სტრუქტურები არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ.

დასკვნაში აღნიშნულია ისიც, რომ გამოვლენილია ფაქტები, რომელთა შესწავლა საპარლამენტო კომისიის კომპეტენციას სცილდება და ამიტომ, ისინი რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას გადაეგზავნება.

კომისიის სამთვიანი მუშაობის ხელშესახებ შედეგს წარმოადგენს აგრეთვე ხელისუფლებისთვის განკუთვნილი 12 რეკომენდაცია (მათ შესახებ "24 საათი" გუშინდელ ნომერში წერდა).

დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი, პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე იმედოვნებს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გარკვეულ ეტაპზე მაინც გახდება სახელმძღვანელო საქართველოს ხელისუფლებისთვის. ამასთან, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დასკვნაში უარყოფით კონტექსტში მოხსენიებული უწყების (საგარეო საქმეთა სამინისტრო) ხელმძღვანელი ეკა ტყეშელაშვილი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა.

საპარლამენტო კომისიის დასკვნაში არის ერთი ეპიზოდი, რომელსაც მინისტრთა კაბინეტიდან გუშინ ოპერატიულად გამოეხმაურნენ. დოკუმენტის თანახმად, საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა კომისიას აცნობა, რომ პოსტსაომარ პერიოდში მან მიიღო ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ის ენერგეტიკის მინისტრს გადასცა.

"მოკვლევა, თუ რამდენად ადეკვატური იყო მიღებულ ინფორმაციაზე ენერგეტიკის სამინისტროს რეაგირება, სცილდება დროებითი საპარლამენტო კომისიის კომპეტენციას," - ნათქვამია დასკვნაში და იქვე აღნიშნულია, რომ კომისია ზემოთ აღნიშნულ მასალებს რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნის.

როგორც აღვნიშნეთ, პროკურატურაზე ადრე ამ ფაქტს თავად მთავრობიდან გამოეხმაურნენ: ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა დაადასტურა, რომ საგარეო დაზვერვის სამსახურისგან მართლაც მიიღო ინფორმაცია, გრიფით "საიდუმლო", საქართველოს ენერგოსექტორში მოქმედ ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაზე, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა (თუმცა, რაში გამოიხატა ეს "რეაგირება", ხეთაგური არ აკონკრეტებს).

ამასთან, ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ, თავის დროზე, მზად იყო, პასუხი გაეცა კომისიის წევრთა შეკითხვებისთვის, მაგრამ სხდომაზე არავინ გამოიძახა. ახლაც, ამ კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ, ხეთაგური უარს არ ამბობს პარლამენტთან თანამშრომლობაზე...

თუ ენერგეტიკის მინისტრი საპარლამენტო კომისიას შეფარულად საყვედურობს, მისგან განსხვავებით, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია ამ სტრუქტურას ღიად აკრიტიკებს და საერთოდ, კომისიის მუშაობას უარყოფითად აფასებს.

"ეს დასკვნა უნდობლობას იმსახურებს, რადგან ძალიან ბევრ საკითხში თავის თავს ეწინააღმდეგება. თავად კომისიის მუშაობა კი, მთლიანობაში, ტენდენციური იყო," - აცხადებს ბაღათურია. თავის უკმაყოფილებას იგი იმით ხსნის, რომ **"კომისიამ არ შეისწავლა, ვინ იყო პასუხისმგებელი ზურგის უსუსურ მუშაობაზე, არაფერი თქმულა სამხედრო ხარჯების არამიზნობრივ ხარჯვაზე და იმაზე, რომ საომარი მოქმედებების დროს, უმეთაუროდ დარჩენილი მშიერი ჯარისკაცები 3-4 დღის განმავლობაში მხოლოდ მკვახე ხილით იკვებებოდნენ"...**

დროებითი კომისიის ერთ-ერთი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე კოლეგას დესტრუქციულობას აბრალებს და მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე გული სწყდება, რადგან **"ჯონდი ბაღათურია ცდილობს, წყალში ჩაყაროს კომისიის ტიტანური მუშაობა".**

"ქართული დასის" ლიდერის გამოსვლას პარლამენტის თავმჯდომარეც გამოეხმაურა. დავით ბაქრაძის თქმით, მას არ მოსწონს, რომ ჯონდი ბაღათურია იაფფასიანი ბრალდებებით ცდილობს კომისიის დისკრედიტირებას, მაგრამ, სპიკერის განცხადებით, ის კომისიის "ადვოკატობას" მაინც არ აპირებს...

გუშინ პარლამენტმა დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა ცნობად მიიღო. ამ გადაწყვეტილებას 88 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

ამერიკამ საქართველოს მორიგი ფინანსური დახმარება გამოუყო

აშშ-ს მთავრობამ საქართველოს მორიგ დახმარება - 47 მილიონი დოლარი გამოუყო. ეს დახმარება 1 მილიარდიანი ეკონომიკური დახმარების პაკეტის ნაწილია. შეერთებული შტატები სხვადასხვა ტიპის დახმარებას საქართველოს შემდგომი ორი წლის მანძილზე გაუწევს. ის მოხმარდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რათა აღდგეს ინფრასტრუქტურა, გაგრძელდეს ეკონომიკური განვითარება და ინვესტორებს ქართული ეკონომიკისადმი ნდობა დაუბრუნდეთ. "დახმარება ასევე ხელს შეუწყობს დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას," - აღნიშნა საქართველოში შეერთებული შტატების ელმა ჯონ ტეფტმა. **მედიანიუსი**

თავდაცვის მინისტრმა ნატო-ს პროგრამაზე იმსჯელა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე გუშინ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ნატო-ს მეკავშირე ოფიცერ ზბიგნევ რიბაკის შეხვდა. მინისტრმა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელთან ნატო-საქართველოს ურთიერთობები და თავდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა განიხილა. შეხვედრაზე მხარეებმა "ყოველწლიური ეროვნული პროგრამის" შესახებ ისაუბრეს, რომელიც დეკემბრის დასაწყისში ბრიუსელში გამართულ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე საქართველოსა და უკრაინას მიანიჭეს.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა და ნატო-ს მეკავშირე ოფიცერმა სამხედრო განათლებისა და პერსონალის მართვის სისტემების გაუმჯობესების შესახებაც იმსჯელეს. **პირველი**

მოსკოვის დაგვიანებული განმარტება

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ ახსნა, თუ რატომ დაბრუნდნენ საჩხერის რაიონის სოფელ პერევში რუსი სამხედროები. მათი თქმით, ეს ქართული სპეცრაზმის წევრების შესვლით იყო განპირობებული. ლავროვის უწყება გაოცებულია იმის გამო, რომ ევროკავშირის თავმჯდომარე საფრანგეთი პერევში რუსი სამხედროების დაბრუნების გამო სინანულს გამოთქვამს.

რუსული მხარე ასევე აცხადებს, რომ რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების ერთგული რჩება. სამინისტროს განცხადებით, მოსკოვმა საკუთარი ვალდებულებები პრაქტიკულად შეასრულა, საქართველო კი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების მიმდებარე ზონებში ვითარებას კვლავ ძაბავს. სამწუხაროდ, არც ევროკავშირის დამკვირვებლები იჩენენ სათანადო თანმიმდევრულობას და სიბეჯითეს, რათა ქართული მხარის ქმედებები აღკვეთონ," - აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. **ინტერპრესნიუსი**

ვაშაძეს უცხოელი დიპლომატები სტუმრობდნენ

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ იოჰან ვერბეკეს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს 17-18 დეკემბერს ჟენევაში გამართული მოლაპარაკებათა პროცესის მორიგი რაუნდის შედეგები. ასევე იმსჯელეს საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის შემდგომი ფუნქციონირების საკითხებზე. აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაციები მომავალშიც გაგრძელდება.

გუშინვე გრიგოლ ვაშაძე უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ გაბორ შაგის შეხდა, რომელთანაც ორმხრივი ურთიერთობების ძირითადი საკითხები და საქართველოში არსებული მდგომარეობა განიხილა. მინისტრმა საქართველოში უნგრეთის რესპუბლიკის საელჩოს დაარსებისა და უნგრეთის მთავრობის მიერ გაწეული დახმარების გამო მადლიერება გამოხატა. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

საქართველოს გერმანია დაეხმარება

გერმანიის მთავრობა საქართველოს 59 მილიონ ევროს გამოუყოფს. გერმანიის საელჩოს ინფორმაციით, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებითმა რწმუნებულმა ქრისტიან პერნჰორსტრმა გუშინ ტექნიკური და ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში ორ სამთავრობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებისა და საქართველოს კონტროლის პალატის ხელშეწყობას. **პირველი**

ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს 2009 წლის პირველი იანვრიდან ხელფასები გაეზრდებათ. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა პარლამენტში მიმდინარეობს და ცვლილების შეტანა "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონში იგეგმება. კანონპროექტი პარლამენტმა გუშინ პირველი მოსმენით განიხილა.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობრივი სარგო, 4 100 ლარის ნაცვლად, 5 650 ლარი ექნება, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, 3 400 ლარის ნაცვლად, 4 800 ლარი, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, 3 100 ლარის ნაცვლად, 4 400. **ინტერპრესნიუსი**

დონორების მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის გამჭირვალობას არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია შეისწავლის

დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების ხარჯვის გამჭვირვალობასა და მიზნობრიობას არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია შეისწავლის. კოალიცია "გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის" ფონდი "ღია საზოგადოება საქართველოს" ინიციატივით და დაფინანსებით დაფუძნდა და მისი პრეზენტაცია დღეს გაიმართება. როგორც "ინტერპრესნიუსს" ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"-დან აცნობეს, დღესვე ხელი მოეწერება კოალიციის თანამშრომლობის მემორანდუმს. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდგომ, საქართველოს დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები 2008-2010 წლებში 4,5 მლრდ აშშ დოლარის დახმარების გამოყოფას დაპირდნენ. დონორთა მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების გამოყენების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათი განაწილებისა და ხარჯვის გამჭვირვალობაზე და ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის აქტიურ მონაწილეობაზე.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართა

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით დღეს გამართულ აუქციონზე 473 162 ლარი შევიდა. აუქციონზე გამოტანილი იყო ლაგოდეხის, სამტრედიის, წალკის, კასპის, დუშეთის, საგარეჯოს, აბაშის, მცხეთის, ნინოწმინდის, მარნეულის, დუშეთის, თერჯოლის, ხობის, ზესტაფონის, გარდაბნის და ბორჯომის რაიონებში 21 ობიექტი. ყველაზე მაღალ ფასად გაიყიდა მე-11 ობიექტი - მარნეულის რაიონში, სოფელ ცოპის ტერიტორიაზე "სადახლოს" გამარმარილოებული კირქვის (საღორღე) საბადო. აღნიშნულ ობიექტზე საწყისი ფასი 227 912 ლარს შეადგენდა. იგი ფიზიკურმა პირმა დავით კურცხალიამ 250 703 ლარად იყიდა. ასევე, მაღალ ფასად გაიყიდა 21-ე ობიექტი - დუშეთის რაიონში, სოფელ ჩარგლის მიმდებარე ტერიტორიაზე "კაწალხევის" წყაროს წყალი (ჩამოსასხმელად). აღნიშნულ ობიექტზე საწყისი ფასი შეადგენდა 53 795 ლარს. იგი შპს "ჩარგლის წყაროებმა" 59 175 ლარად შეიძინა. აუქციონში 15 მეწარმე მონაწილეობდა. გამარჯვებულად 14 მეწარმე გამოცხადდა. ოთხ ობიექტზე განაცხადი ეკონომიკის სამინისტროში საერთოდ არ შესულა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობი 36,22 აშშ დოლარი ღირს

მსოფლიოში ნავთობის ფასი, გუშინდელი ვაჭრობების შედეგად, შემცირდა. საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ინფორმაციით, ლონდონისა და ნიუ-იორკის საქართველოს ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 43,36 დოლარი ბარელზე, ხოლო Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა 36,22 დოლარი ბარელზე.

წინა დღის ვაჭრობებთან შედარებით, ლონდონის ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობი 2,17 დოლარით გაიაფდა, ხოლო ნიუ-იორკის ბირჟაზე - 3,84 დოლარით.

"Deutsche Bank"-ის პროგნოზით ნავთობის ფასი ბარელზე, შესაძლოა, 30 აშშ დოლარამდე შემცირდეს

ნავთობის ფასი მოთხოვნილების გლობალური შემცირების ფონზე, შესაძლოა, ბარელზე 30 აშშ დოლარამდეც კი შემცირდეს. მსგავს პროგნოზს საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, მომხმარებელთა და იმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით "Deutsche Bank" აკეთებს. ბანკში მიიჩნევენ, რომ 2009 წელს ნავთობზე მოთხოვნილება დღე-ღამეში 1 მლნ ბარელით შემცირდება, თუმცა, შესაძლოა, პროგნოზზე დაბალი მაჩვენებელიც დაფიქსირდეს. ცნობილია, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკ) 2009 წლის 1 იანვარიდან ნავთობის მოპოვებას დღე-ღამეში 2,2 მლნ ბარელით შეამცირებს. "Deutsche Bank"-ის ექსპერტების აზრით, ეს კი ნავთობის ფასის 50 აშშ დოლარზე ზევით სტაბილიზებისთვის არასაკმარისია.

"ორთაჭალჰესი" "ენერგო-პრო ჯორჯიამ" იყიდა

"ორთაჭალჰესი" კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯიამ" იყიდა. აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში რამდენიმე წუთის წინ დასრულდა.

აუქციონში მხოლოდ "ენერგო-პრო ჯორჯია" მონაწილეობდა, რომელიც ობიექტში 25,25 მლნ დოლარს, 30 დღის განმავლობაში გადაიხდის.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "ენერგო-პრო ჯორჯიადან" აცნობეს, აუქციონის პირობების მიხედვით, კომპანია 6 წლის განმავლობაში ჰესში 7 მილიონი დოლარის ინვესტიციებს განახორციელებს.

"ორთაჭალჰესის" მოქმედი მოიჯარე კომპანია "ორთაჭალენერჯი". მას საიჯარო ხელშეკრულება 2019 წლამდე აქვს, თუმცა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხელშეკრულების გაწყვეტას 2009 წლის იანვარში გეგმავს.

"ენერგო-პრო ჯორჯია" უკვე ფლობს 8 ჰესს და საქართველოს ელექტროგამანაწილებელ ქსელს, გარდა თბილისისა და კახეთისა.

ჰესის დადგმული სიმძლავრე 19 მგვტ-ია, რეალურად კი სადგური 10 მგვტ-მდე სიმძლავრეზე მუშაობს. ჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია სრულად "თელასს" მიეწოდება.

ჯონ ტეფტი - ამერიკის მთავრობის 47-მილიონიანი დახმარება საქართველოში უკვე ხორციელდება

ამერიკის მთავრობის 47-მილიონიანი დახმარება საქართველოში უკვე ხორციელდება. ამის შესახებ დღეს მთავრობის კანცელარიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა განაცხადა.

დღეს ელჩმა ჯონ ტეფტმა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დემოკრატიის მხარდამჭერი კომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალისონ შვორცმა და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა ამერიკის მთავრობის დახმარების გამოყოფის თაობაზე განცხადება გააკეთეს.

47 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარება არის 1 მილიარდიანი ოდენობის დახმარების ნაწილი. როგორც დღეს ჯონ ტეფტმა აღნიშნა, თანხა მოხმარდება ზამთრის პერიოდში 30 ათასი დევნილის საკვებით მომარაგებას, მათი კუთვნილი კერძო საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. დაახლოებით 10 ათასი გლეხის სასოფლო სამეურნეო მასალებით უზრუნველყოფას, თბილისსა და გორში მყოფ უმუშევარ დევნილთათვის პროფესიული გადამზადების კურსების ჩატარებას და ასევე კონფლიქტურ ტერიტორიებზე პოლიციის სამსახურის მუშაობას. აღნიშნულ მიმართულებას მოხმარდება დაახლოებით 17 მილიონი დოლარი.

როგორც ელჩმა აღნიშნა, ეს თანხა მიემართება პოსტკონფლიქტურ ზონებში დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

როგორც კონგრესმენმა ალისონ შვორცმა განაცხადა, დელეგაცია დღეს იმყოფებოდა გორში და ისინი კმაყოფილები არიან იმ სარეკონსტრუქციო სამუშაოებით, რომელიც რეგიონში მიმდინარეობს.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, აღნიშნული დახმარების ხარჯვა მიმდინარეობს აბსოლუტურად გამჭვირვალედ.

47 მილიონი დოლარი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველო იღებს, არ წარიმართება საქართველოს ბიუჯეტში და ეს იქნება პირდაპირი დახმარება იმ უწყებებისათვის, რომლებმაც შესაბამისი სამუშაოები უნდა გაატარონ.

ვინ აუნაზღაურებს ზარალს აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულ კომპანიებს?

სალომე ძაძამია

საქართველოში უკვე არ დავობენ იმაზე, რომ რუსული სამხედრო აგრესიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ქართული ეკონომიკის განადგურება წარმოადგენდა. რუსულმა ინტერვენციამ ქართული ეკონომიკის განვითარების დინამიკა შეანელა, თუმცა სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღო. შენელებული ტემპის მიუხედავად, საქართველოში ეკონომიკური პროცესები არ შეჩერებულა.

აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად, ცხინვალის რეგიონსა და ზემო აფხაზეთში არსებული ქართული კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები, სასტუმროების, გზების თუ სხვადასხვა ტიპის მშენებლობების სახით, ახლა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. მშენებლობები დანგრეული და გაძარცულია, გზებზე კი რუსული საოკუპაციო არმიის ბლოკპოსტებია განთავსებული.

რუსული ინტერვენციის შედეგად დაზარალებული ქართული კომპანიების წარმომადგენლები არ გამორიცხავენ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანას - "ქართული ბიზნესი რუსული აგრესიის წინააღმდეგ." ამაში ქართულ ბიზნესს, დიპლომატიურ კორპუსთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია დაეხმარება. კომისიის თავმჯდომარესა და კომპანიების წარმომადგენლებს შორის პირველი სამუშაო შეხვედრა უკვე შედგა.

ომის შედეგად ნავთობკომპანია "ვისოლმა" 300 ათასი დოლარის ოდენობის ზარალი მიიღო, კომპანია "ელიტ ელექტრონიქსმა" 651 ათას 915 ლარი იზარალა, სამშენებლო კომპანია "აქსისმა" - 700 ათასი ლარი, კომპანია PSP-მ 170 ათასი ლარი, შპს "გელა ვანათელმა" - 1 მილიონ 500 ათასი ლარი, კომპანია "ცენტრ-პოინტმა" კი 1 მილიონ 300 ათასი დოლარის ზარალი მიიღო.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის შოთა მალაშხიას განცხადებით, თითოეული კომპანიის წარმომადგენლის პრობლემა დეტალურად იქნება განხილული ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად. საერთაშორისო აუდიტების დახმარებით მოხდება ზარალის დათვლა, შემდეგ კი დაზარალებული კომპანიების სარჩელი საერთაშორისო სასამართლოში გადაინაცვლებს.

"შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ ის კომპანიები, რომლებიც ცხინვალის რეგიონსა და ზემო აფხაზეთში მიმდინარე მშენებლობებსა თუ სხვა სახის პროექტებში მონაწილეობდნენ. კომპანიები "აქსისი," "ცენტრ პოინტი," ფირმა "კომფორტი," რომელიც გზებს აშენებდა ცხინვალსა და ზემო აფხაზეთში, კომპანია "ვისოლი", "ელიტ ელექტრონიქსი" და ა.შ. კომპანიების წარმომადგენლებმა თავიანთი პრობლემები გაგვაცნეს. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა პრობლემები აქვთ ჩვენს კანონმდებლობასთან და რა პრობლემები შეიძლება გადაწყდეს საგადასახადო სტრუქტურებთან, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით. საუბრის მეორე მიმართულება შეეხებოდა - რა არის საჭირო იმისათვის, რომ მათი საქმე გადატანილი იქნას საერთაშორისო სასამართლოში. ეს იყო სამუშაო შეხვედრა და შევთანხმდით, რომ კომპანიები წერილობით წარმოადგენდნენ ორივე მიმართულებით თავიანთ წინადადებებს და შემდეგ უკვე დავსახავთ კონკრეტულ ღონისძიებებს. მოეწყობა შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოების წარმომადგენლებთან ერთად, რომელთაც ვაჩვენებთ ვიზუალურად იმ სამშვიდობო პროგრამებს, რასაც საქართველო და ქართული კომპანიები ახორციელებდნენ კონფლიქტის რეგიონში. კერძო საკუთრების დაცვა არის საყოველთაო საერთაშორისო ნორმა. აღნიშნულ კომპანიებს დათვლილი აქვთ თავიანთი ზარალი, საჭიროების შემთხვევაში იგივე ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, მოხდება საერთაშორისო აუდიტის მოწვევა, რომელიც ზარალს შეაფასებს და შემდეგ გადაწყდება რა ტიპის სასამართლოში წავა ეს საქმე." - აღნიშნა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ.

ნავთობკომპანია "ვისოლმა" 2007 წელს სოფელ ქურთაში ავტოგასამართი სადგური გახსნა, რომელიც რუსული აგრესიის შედეგად დაიბომბა. გორში განვითარებული მოვლენების გამო, კომპანიის წარმომადგენლები იძულებული შეიქმნენ ქალაქში არსებული ავტოგასამართი სადგური მიეტოვებინათ.

"აგვისტოს მოვლენების დროს "ვისოლს" მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიადგა. დავკარგეთ ავტოგასამართი სადგური ქურთაში. ჩვენთვის ეს რიგითი ავტოგასამართი სადგური არ იყო, არამედ ჩვენი ობიექტი იმ რეგიონში, რომელიც მოწყვეტილი იყო სერვისსა და პროდუქტებს, რომელსაც ჩვენ მთელი საქართველოს მასშტაბით ვაწვდით მომხმარებელს. ქურთაში არსებულ სადგურზე დასაქმებული იყო მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა და ვიმედოვნებთ, რომ დავბრუნდებით რეგიონში და მალე ცხინვალშიც გვექნება ბიზნესის წარმოების საშუალება." - აცხადებს კომპანია "ვისოლის" გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა.

"ცენტრ-პოინტი" კონფლიქტის რეგიონში სასტუმრო დაკარგა, რომელშიც მილიონ 300 ათასი დოლარის ინვესტიცია იყო ჩადებული. სასტუმრო "პრინცი მაჩაბელი" ახლა დანგრეული და გაძარცვულია.

"ჩვენი კომპანიის ბიზნესის ერთ-ერთი მიმართულებაა სასტუმროების ქსელის მშენებლობა, რომელიც "რჩეულის" სახელწოდებითაა ცნობილი. დაგეგმილი გვაქვს ამ ეტაპზე 100 სასტუმროს მშენებლობა, ეხლა აშენებულია მხოლოდ ხუთი სასტუმრო. ერთ-ერთი სასტუმრო "პრინცი მაჩაბელი" კომპანიას ქურთაში ჰქონდა, რომელიც ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. სასტუმროს გახსნას 28 აგვისტოს ვგეგმავდით, რომელიც უკვე აღჭურვილი იყო მთელი სასტუმრო ინვენტარით, რესტორნით და ა.შ. "პრინცი მაჩაბელი" ბუტიკის ტიპის სამ ვარსკვლავიანი სასტუმრო იყო, რომელიც ახლა განადგურებულია. ჩვენი ზარალი ამ ეტაპზე მილიონ 300 ათასი დოლარია.

ჩვენი ინიციატივით, დავუკავშირდით ყველა დაზარალებულ კომპანიას და შედგა შეხვედრა ბატონ შოთა მალაშხიასთან. ამ ეტაპზე ყველა კომპანია მიყენებულ ზარალს დაადგენს. ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ ყველა დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შემდეგ მივმართავთ შესაბამის ინსტანციას, ალბათ სტრასბურგის სასამართლოს, ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით." -განაცხადა კომპანია "ცენტრ-პოინტის" იურისტმა ანა გაგუამ.

კომპანია AWORD კაპიტალი ქურთაში ჰოსპიტალის მშენებლობას იწყებდა, მშენებლობა დაწყებული არ იყო, თუმცა კომპანიას 160 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მაინც მიადგა.

კომპანია AWORD კაპიტალის დირექტორი ლაშა ცაგარეიშვილი: "ქურთაში ვაშენებდით ახალი ამერიკული ტიპის საავადმყოფოს, სამუშაოების გარკვეული ნაწილი შესრულებული იყო, მასალები შეტანილი გვქონდა და დაახლოებით 160 ათასი ლარი ვიზარალეთ. საუბარი არის ზარალის ანაზღაურებაზე, თუმცა ჩვენი კომპანიისთვის, ეს არ არის მისაღები, რადგან მირჩევნია ეს თანხები იმ ადამიანებს გადაეცეს, რომლებიც ომის დროს დაზარალდნენ და იძულებით გადაადგილებული პირები აღმოჩნდნენ. არის საუბარი, რომ თითქოს დონორის თანხებით მოხდება ჩვენი ზარალის ანაზღაურება. აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალდა მთელი საქართველო და ჩვენთვის ამაზე საუბარი უხერხულია. არც გაგვიკეთებია ოფიციალური განაცხადი ამ თემაზე. თუ სახელმწიფოს სჭირდება, რომ საერთოდ დაითვალოს ზარალი, კონფლიქტმა რა ზარალი მოუტანა ქვეყანას, მაშინ ჩვენ მზად ვართ მათ ყველა ინფორმაცია მივაწოდოთ."

"ელიტ ელექტრონიქსმა" სოფელ თამარაშენში 2007 წელს სავაჭრო ცენტრი გახსნა, სადაც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ოსებიც მუშაობდნენ. აგვისტოს ომის შემდეგ კი სოფელი თამარაშენი ოკუპირებულია და კომპანიის სავაჭრო ცენტრი გაძარცვული.

"გარდა სავაჭრო ცენტრისა, ქალაქ გორში გვქონდა მაღაზია, რომელსაც აგრეთვე ზარალი მიადგა. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა სხვა კომპანიების მსგავსად ჩვენზეც აისახა. "ელიტ ელექტრონიქსმა" საომარი მოქმედებების გამო მიიღო როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზარალი. პირდაპირი ზარალის სახით, განადგურდა თამარაშენის მაღაზია, სადაც 650,915 ლარი ვიზარალეთ, რაც შეეხება გორში განთავსებულ სავაჭრო ობიექტს, აქ კომპანიის ზარალმა 20 000 ლარი შეადგინა. თამარაშენი მეტნაკლებად რისკიანი ზონა იყო და გაცნობიერებული გვქონდა, რომ კონფლიქტის რეგიონში სავაჭრო ცენტრის გახსნა გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ამ სავაჭრო ობიექტით გვურდა აღნიშნულ რეგიონში ბიზნესპროცესები დაგვეჩქარებინა. ეს ნაბიჯი სტრატეგიულადაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან ერთმანეთის გვერდით მუშაობდნენ ქართველი და ოსი ახალგაზრდები და ჩვენ კომპანიას მცირედი წვლილი შეჰქონდა მათი დაახლოების საქმეში. რაც შეეხება ზარალის ანაზღაურების საკითხს, ამაზე ჩვენ საუბარი არ გვქონია. ყველა დაზარალებული კომპანია საპარლამენტო კომისიას წარუდგენს ზარალის ოდენობას და თავის მხრივ, სახელმწიფო წარადგენს საჩივარს სტრასბურგის სასამართლოში." - განაცხადა კომპანია "ელიტ ელექტრონიქსის" წარმომადგენელმა მაია ფეიქრიშვილმა.

სასამართლოს მომსახურებით ყველაზე კმაყოფილი პროკურორები არიან

სასტუმრო "თბილისი მარიოტში" სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. კვლევა "საქართველოს სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის" ფარგლებში განხორციელდა. პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საქართველოს უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

კვლევამ გამოავლინა, რომ სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით არაპროფესიონალი მომხმარებლის მიერ გაკეთებული შეფასებები, პროფესიონალების შეფასებებზე გაცილებით უარყოფითია.

კერძოდ, ადვოკატების კმაყოფილების ინდექსი განისაზღვრა 59,1 პროცენტით, მოქალაქეების - 51,7 პროცენტით, ხოლო პროკურორების 73,5 პროცენტით.

კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოს მომსახურების კმაყოფილების დონემ საბოლოო ჯამში, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, 54,6 პროცენტს მიაღწია, თუმცა სურათი განსხვავებულია თითოეული სასამართლოსთვის.

თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებმა მიიღეს შედარებით დაბალი შეფასებები - თბილისი - პროცენტი, ქუთაისი - 44 პროცენტი. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 63,3 პროცენტი რუსთავის სასამართლოს ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცედურების ოპერატიულობამ მიიღო საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი. გამოკითხულთა მხოლოდ 32 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოებში პროცედურები ოპერატიულად ხორციელდება.

ამასთან, გამოკითხულ რესპონდენტთა რეალური შეფასებების მიხედვით, სასამართლოში აზრის გამოთქმის შესაძლებლობა საკმაოდ დაბალია. მომხმარებელთა მხოლოდ 33 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოში აზრის თავისუფლად გამოხატვა შესაძლებელია.

"საქართველოში სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების დონე შეიძლება შევაფასოთ საშუალო დონეზე, უფრო სწორედ, საშუალოსკენ მიდრეკილად, რაც, ფაქტობრივად, უფრო მეტად უარყოფითი განწყობის მაჩვენებელია, ვიდრე პოზიტიურის და მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში ჯერ კიდევ უამრავი რეფორმაა გასატარებელი, როგორც უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით, ასევე ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათს," - აცხადებენ კვლევის ავტორები.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ალბერტ სზალმა განაცხადა, ძირითადი ყურადღება დაეთმო შემდეგი საკითხების შეფასებას: საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობანი და მიზნები საქართველოს სასამართლოებში, მიმდინარე და დახურული საქმეების კვლევა, სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა.

"პროექტმა, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებაა, შეიმუშავა სასამართლო ადმინისტრირების და საქმეთა მართვის ქმედითობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მრავალმხრივი პროგრამა საქართველოს ყველა სასამართლოსთვის. საქართველოს სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტმა დიდი ძალისხმევა გაწია სასამართლო სისტემის სტატუსის შეფასების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. საქართველოს სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი მუშაობს რეფორმით განსაზღვრული გაუმჯობესების განხორციელებაზე," - განაცხადა სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე კახა წიქარიშვილმა.

საქართველოს სასამართლო სისტემის ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის 4-წლიანი, 3,7-მილიონდოლარიანი პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერაა დაფინანსებული.

პროექტის მიზანია, საქართველოს სასამართლო სისტემას ხელი შეეწყოს სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებაში. იგი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: სასამართლოს საქმეთა წარმოების გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს საქმეთა ნაკადის მართვასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას; სამართლო ადმინისტრირების გაუმჯობესებას; სასამართლო სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მან თავად შეადგინოს და მართოს სასამართლოების ბიუჯეტი და სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების გაუმჯობესება.

საკუთარი ინფორმაცია

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო კანცელარიაში ვიცე პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და ევროკომისიის წარმომადგენელმა საქართველოში პერ ეკლუნდმა ხელი მოაწერეს 2008 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მხარდასაჭერად ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის საბიუჯეტო დახმარების - 15 მლნ ევროს გამოყოფის შესახებ შეთანხმებას, იუსტიციის სამინისტროში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომას იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, გაერო-ს ბავშვთა ფონდის, ეუთო-ს, ასევე ამერიკის იურისტთა ასოციაციის და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომა ძირითადად, გაცნობითი ხასიათის იყო და მასზე ზოგადად მიმოიხილეს საბჭოს შექმნის მიზანი და მისი ფუნქციები. შეხვედრის წევრებმა განაცხადეს, რომ დასახული რეფორმების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა საბჭოს წევრებს შორის და სამუშაო ჯგუფების ეფექტიანი მუშაობა.

"მომავალი ორი წლის განმავლობაში საბჭო იმუშავებს სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს სფეროებში რეფორმების გატარებაზე. საბჭოს ძირითად მიზნებს წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიის განახლება და განხორციელება, ასევე, უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, პენიტენციარული, პრობაციის და უფასო იურიდიული დახმარების სისტემების რეფორმის თვალსაზრისით," - განაცხადა შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა. მან ევროკავშირის მხარდაჭერაზე ისაუბრა საბჭოში მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა როგორც ევროკავშირის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს.

"სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შეთანხმების ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა, ახალი ინიციატივა კი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიული რეფორმების განვითარების თვალსაზრისით," - განაცხადა საქართველოში ევროკომისისს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა პერ ეკლუნდმა და საქართველოსა და ევროკომისიას შორის წლების განმავლობაში არსებული კონსტრუქციული თანამშრომლობა მიმოიხილა.

გუშინდელ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები ექვს თვეში ერთხელ გაიმართება. პრიორიტეტული მიმართულებების სწორი წარმართვისთვის ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც თემაზე იმუშავებენ. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა სამდივნო და განისაზღვრა ეროვნული კოორდინატორი. ისინი უშუალოდ ჩაერთვებიან აღნიშნულ პროცესში.

პროგრამის განხორციელებას ზედამხედველობას გაუწევს სამეთვალყურეო კომიტეტი, რომლის მიზანი იქნება ღონისძიებათა მონიტორინგი.

დახმარებას საქართველო სამი წლის განმავლობაში, ყოველწიურად 5-მილიონიანი ტრანშის სახით მიიღებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირებისთვის გამოყოფილი 15 მლნ ევროს გარდა, ევროკომისია 1 მლნ ევროს დამატებით, ტექნიკური დახმარებისთვის გამოყოფს.

საკუთარი ინფორმაცია

ცვლილება კანონში

სატრანსპორტო საშუალებებს ტროტუართან თავისუფლად გაჩერება აეკრძალებათ.

შესაბამისი ცვლილების შეტანა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონში იგეგმება და მისი ინიციირება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მოხდა.

კანონპროექტის თანახმად, იკრძალება სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ტროტუარზე, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირებისთვის არის განსაზღვრული. "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" კიდევ ერთი ცვლილება შედის, რომლის თანახმადაც, მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დამრღვევი დაჯარიმდება. კანონპროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტებს ჯერ არ დაუწყიათ.

პირველი

სამეგრელო-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურომ პრეზენტაცია გამართა

იუსტიციის სამინიტროს იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელო-ფოთის ბიურომ დღეს ერთი წლის საქმიანობის შედეგების შესახებ პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების, პროკურატურის, სასამართლოს, საჯარო რეესტრის, სამოქალაქო რეესტრის, პრობაციის ბიუროს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

სამეგრელო-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო 2007 წლის ნოემბერში ამოქმედდა. ამ ხნის განმავლობაში ბიუროში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატები 300-ზე მეტ სისხლის სამართლის იცავდნენ გადახდისუუნარო მოქალაქეების ინტერესებს, მათ შორის 17 არასრულწლოვანი იყო. სამართლებრივი კონსულტაციისათვის კი ბიუროს 200-მა მოქალაქემ მიმართა.

ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით 2008 წლის განმავლობაში აქიურად აწარმოებდა გასვლით კონსულტაციებს.

აღსანიშნავია, რომ ბიუროს წარმატებებს შორის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე განსასჯელისათვის სასჯელის შემსუბუქების და ნაწილობრივ გამართლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები ირიცხება.

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებას და სამართლებრივ კონსულტაციას უწევს. ამჟამად სამსახურის 10 ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში მოქმედებს. **საკუთარი ინფორმაცია**

რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარის უფროსის მოადგილე დააპატიმრეს

მოსკოვის გარნიზონის სამხედრო სასამართლომ რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ბორის სეგედი დააკავა. რუსული მედიის ინფორმაციით, მას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება ედება ბრალად.

ინფორმაცია რუსეთის სახმელეთო ჯარების მოადგილის დაკავების შესახებ მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლოს პრესსამსახურის უფროსმა ალექსანდრე მინჩანოვსკიმ გაავრცელა.

"სეგედი პირთა ჯგუფთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის უკანონოდ მითვისებაში, ასევე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასა და ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილია," - აცხადებს პრესსამსახურის უფროსი.

რუსული მედია აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას აღნიშნავს, რომ რუსეთის არმიაში გამეფებული კორუფციის შესახებ ადრეც არაერთგზის იყო საუბარი.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, იუსტიციის გენერალ-მაიორი ალექსანდრე სოროჩკინი აცხადებს, რომ კორუფციულ დანაშაულებათა გამო, რომლებიც რუსული არმიის წარმომადგენლებმა 2008 წელს ჩაიდინეს, ზარალმა 2.2 მილიარდი რუსული რუბლი შეადგინა. მისივე თქმით, შარშანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი სამჯერ გაიზარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

სახალხო დამცველის ოფისში პატიმართა ჯანმრთელობისა და სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებს განიხილავენ

20 დეკემბერს, სახალხო დამცველის ოფისში 12:00 საათიდან 16:00 საათამდე გაიმართება მრგვალი მაგიდა "პატიმართა ჯანმრთელობა და მათი სამართლებრივი დაცვა". მრგვალ მაგიდაში მონაწილეობას მიიღებენ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრას გახსნიან სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, ეუთოს წარმომადგენელი თინა გევითსი და "კონსტიტუციის 42-ე" მუხლის აღმასრულებელი დირექტორი მარინა ჩოხელი.

სახალხო დამცველი სპეციალურ მოხსენებას გააკეთებს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ. პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრებენ აგრეთვე სახაზინო ადვოკატის სამსახურის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

მრგვალი მაგიდა ეწყობა ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ორგანიზებით, პროექტის "მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების წარმომადგენელთათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" საქართველოში ეუთოს მისიის მხარდაჭერით. **საკუთარი ინფორმაცია**

დედაქალაქის მასშტაბით 21076 დანაშაულია რეგისტრირებული

2008 წლის 11 თვეში დედაქალაქის მასშტაბით 21076 დანაშაულია რეგისტრირებული. აქედან საგამოძიებო ორგანოებმა 8425 დანაშაულის გახსნა მოახერხეს. შსს-ს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში თბილისში მძიმე დანაშაულის 5678 ფაქტი დარეგისტრირდა, მათ შორის 52 მკვლელობა. ყველაზე გავრცელებული დანაშაულია ქურდობა. დეკემბრის მონაცემებით, თბილისში ამ კატეგორიის 7433 ფაქტია რეგისტრირებული. 21076 დანაშაულიდან 126 არასრულწლოვანთა მიერაა ჩადენილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 1974 წელს დაბადებული თენგიზ ცოკიაშვილი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ცოკიაშვილი ეჭვმიტანილია ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1984 წელს დაბადებულ დავით იარაგოვის მკვლელობასა და 1969 წელს დაბადებული სერგო ასაბაშვილის ჯანმრთელობის დაზიანებაში.

სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა. საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო. **ინტერპრესნიუსი**

სოდ-მა ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილები დააკავა

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს.

სოდ-ის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მე-2 სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკავებულია 47 წლის თენგიზ გაბუნია, რომელსაც, სამართალდამცველების მტკიცებით, პირადი ჩხრეკისას 0,032 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბუტექსის" 4 აბი აღმოაჩნდა.

იმავე სამმართველოს მიერ დაკავებულია 35 წლის გოჩა სიმონიშვილი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 0,0026 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბუტექსის" აბის ნატეხი. მასთან ერთად დაკავებულია 35 წლის თეიმურაზ კვარაცხელია, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა ასევე 0,003 გრამი "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბუტექსის" აბის ნატეხი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ომარ ქუცნაშვილის სასამართლო სხდომა ჩაიშალა

შპს "ჯეოინჟინერინგის" გენერალური დირექტორის, პროფესორ ომარ ქუცნაშვილის სასამართლო პროცესი 22 დეკემბერს განახლდება.

გუშინდელი სასამართლო პროცესი ფინანსთა სამინისტროს რევიზორების სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა. როგორც გაირკვა, რევიზორებს სასამართლო უწყება დროულად არ მიუვიდათ და ამის გამო ვერ გამოცხადდნენ. "დღეს საქმეს დაერთო იუსტიციის სამინისტროს ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ჩვენი ინიციატივით ჩატარდა. ეს სიმართლისკენ გადადგმული ნაბიჯია," - განაცხადა განსასჯელის ადვოკატმა კახა წერეთელმა. სასამართლო გამოძიება მოწმეთა დაკითხვის ეტაპზეა.

ომარ ქუცნაშვილს ბრალი ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადებაში და დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების მითვისებაში ედება. ქუცნაშვილი 2008 წლის ივნისში დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

ჩინეთში დროშა შეურაცხყვეს

ჩინეთის პოლიციამ დროშის შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი ორი ადამიანი დაიჭირა. მათ სახელმწიფოს სიმბოლოსთვის საღებავებით სავსე კვერცხების დაშენა ბრალდებათ. ინციდენტი 23 ნოემბერს ქალაქ ჩუნცინის მემორიალურ სასაფლაოზე მოხდა.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულებმა აღიარეს, რომ კომუნისტურ დროშებს კვერცხები დაუშინეს. დამნაშავეთა დაჭერაში 100 პოლიციელი იღებდა მონაწილეობას, რომელთაც 873 ადამიანი გამოკითხეს. თუკი დაკავებულებს ბრალდება დაუმტკიცდებათ, მათ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაემუქრებათ. **მედიანიუსი**

ცრუ განგაში აშშ-ის საელჩოში

ამერიკის საელჩო მადრიდში მას მერე გახიზნეს, რაც შენობაში საეჭვო კონვერტი აღმოაჩინეს. საელჩოს შენობიდან პერსონალის სასწრაფო ევაკუაციისთანავე სასწრაფო დახმარების და სახანძრო მანქანები მივიდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, განგაში ცრუ აღმოჩნდა. კონვერტი, რომლის შიგთავსმაც აურზაური გამოიწვია, ცარიელი აღმოჩნდა. მანამდე მასმედიამ გაავრცელა ცნობა, რომ კონვერტში თეთრი ფხვნილი ეყარა, რამაც პოლიციას აფიქრებინა, რომ ეს ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღი უნდა ყოფილიყო. **მედიანიუსი**

სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 03.11.08 წ. №1-3/489 ბრძანების საფუძველზე შპს საქწიგნთან (ს/კ 202888269 მარჯანიშვილი ქ.№9) ხორცილდება: შპს მაღაზია ვაკე (ს/კ 204861387 ჭავჭავაძის 19), შპს სასკოლო ბიბლოლექტორი (ს/კ 203824674 დადიანის ქ.№1), შპს ლილო-2002 (ს/კ 206121169 ქ. თბილისი, ლილოს დასახლება I კვარტ. კორპ. №8), შპს ცისარტყელა (ს/კ 201949277 წერეთლის გამზირი №110) შერწყმა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: შპს საქწიგნი , მარჯანიშვილის ქ.№9. ტელ: 96-90-70.

პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს წლის ბოლომდე მოისმენს

პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს წლის ბოლომდე მოისმენს. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მიიღეს. საკითხის დღის წესრიგში შეტანა ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილმა მოითხოვა.

როგორც გია არსენიშვილმა აღნიშნა, სახალხო დამცველის მიერ მომზადებული 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიში კომიტეტმა უკვე განიხილა და საკითხის სესიაზე გატანა შესაძლებელია. გია არსენიშვილის განცხადების საპასუხოდ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ რეგლამენტის თანახმად, საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია სახალხო დამცველის ანგარიში წელიწადში ერთხელ მოისმინოს და წელს პარლამენტმა ომბუდსმენის ანგარიში ერთხელ უკვე მოისმინა, მაგრამ ის სახალხო დამცველის ანგარიშს კიდევ ერთხელ, "კეთილი ნების გამო" მოისმენს.

სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა უმცირესობის წარმომადგენელმა, ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემაც ითხოვა.

მისი თქმით, **"კარგი იქნება, თუ სახალხო დამცველის მოსმენა ღამით არ გაიმართება, რათა მედიისგან მას სათანადო ყურადღება მიექცეს".**

თუმცა, ჩანს, ვეფხვაძის ამ მოთხოვნას საპარლამენტო უმრავლესობა არ გაიზიარებს.

"კონკრეტულ დეტალებზე ნუ ვიკამათებთ, სახალხო დამცველის მოხსენებას მაშინ განვიხილავთ, როდესაც ამის შესაძლებლობა გვექნება და ვისაც აინტერესებს, საკითხის მოსმენას ნებისმიერ დროს თავისუფლად შეძლებს. ჩვენ ვითვალისწინებთ საზოგადოების დიდ ინტერესს, ამიტომ, განვიხილავთ ამ საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც დატვირთული სამუშაო გრაფიკის პირობებში, ამ საკითხს არ გავითვალისწინებდით, ვიანიდან რეგლამენტი ამას არ გვავალდებულებს," - განაცხადა ლევან ვეფხვაძის მოთხოვნაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის მოწვევის პარლამენტმა სახალხო დამცველის ის ანგარიში მოისმინა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტს უნდა მოესმინა და, შესაბამისად, 2008 წლის ანგარიში ჯერჯერობით არ მოუსმენია.

სუბარის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, პარლამენტმა დადგენილება ან რეზოლუცია უნდა მიიღოს, თუმცა ბოლო ხანებში დანერგილი პრაქტიკით, პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს მხოლოდ ცნობად იღებს.

საკუთარი ინფორმაცია

დარტყმა ლეგენდარულ "კოზა ნოსტრაზე"

იტალიის პოლიციამ სიცილიის მაფიის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა. დაკავებულნი არიან მაფიოზური დაჯგუფების ნათლიმამები, დაახლოებით ასი მაფიოზი, რომლებიც, პოლიციის განმარტებით, "კოზა ნოსტრას" რეორგანიზაციას გეგმავდნენ.

"პერსეი" ლეგენდარული "სიცილიის მაფიისთვის" სასიკვდილო აღმოჩნდა.

ოპერაცია სახელწოდებით "პერსეი", პალერმოსა და ტოსკანაში ერთდროულად დაიწყო და მასში 1200 პოლიციელი მონაწილეობდა. სამართალდამცველებმა მაფიის ნათლიმამების დაკავებისას კინოლოგიური სამსახურის დაგეშილი ძაღლები და ვერტმფრენები გამოიყენეს.

"თუკი 2006 წლის ივნისში ჩატარებულმა ოპერაციამ სახელწოდებით "გოტამ" მუხლებზე დააჩოქა "კოზა ნოსტრა", ამ ოპერაციამ "თავი მოკვეთა" მაფიის ახალ სტრუქტურას," - ეს განცხადება ფართომასშტაბიანი ოპერაციის შემდეგ პროკურორმა პიეტრო გრასომ გააკეთა.

როგორც გაირკვა, იტალიელი სამართალდამცველების უპრეცედენტო ოპერაციას წინ უძღოდა ცხრათვიანი გამოძიება. მთელი ამ ხნის განმავლობაში პოლიციელები უთვალთვალებდნენ ყველა ეჭვმიტანილს და მიმდინარეობდა მათი სატელეფონო მოსმენა.

მართალია, გამომძიებლებმა დაზუსტებით არ იციან, ვინ უნდა ჩასდგომოდა სათავეში რეორგანიზებულ "კოზა ნოსტრას", თუმცა, ვარაუდობენ, რომ "სიცილიურ ოჯახს" ტრაპანში მცხოვრები მაფიოზი მატერო მესინა დენარო უხელმძღვანელებდა. როგორც იტალიელი პოლიციელები აცხადებენ, ის ამ დრომდე წარმატებულად ახერხებს სამართალდამცველებისგან მიმალვას. გამომძიებლების თქმით, სწორედ მატერო მესინა დენარო გახდა ცნობილი მაფიოზისა და "კოზა ნოსტრას" ნათლიმამის ბერნარდო პროვენცანოს მემკვიდრე. სიცილიის მაფიის "ბოსების ბოსი" ბერნარდო პროვენცანო ორი წლის წინ დაიჭირეს და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს.

პოლიციის ინფორმაციით, მაფიოზები ცდილობდნენ შეექმნათ სიცილიური მაფიის ახალი სტრუქტურა.

"მათი სუსტი წერტილი განუსაზღვრელი სიმდიდრე, კომფორტი, ძვირად ღირებული სწრაფი ავტომანქანები და ლამაზი ქალებია. ამის გამო ისინი უამრავ მძიმე დანაშაულს ჩადიან," - აცხადებენ პოლიციელები.

პოლიციის განმარტებითვე, გუშინწინ დაკავებულ 99 მაფიოზს გამოძალვისთვის, იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ვაჭრობისა და დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნისთვის წაუყენებენ ბრალდებებს.

"დაზუსტებით ვიცით, რომ დაკავებულთა უმრავლესობა ნარკოტიკის კონტრაბანდით იყო დაკავებული. ეს ადასტურებს იმას, რომ "კოზა ნოსტრა" წამყვან როლს თამაშობს ევროპულ ნარკობაზარზე. ბოლოს, 10 ათასი ევროს ღირებულების ნარკოტიკი ევროპაში არგენტინიდან, პატარ-პატარა პარტიებად შევიდა და შემდეგ დიდი გზა გაიარა - ლონდონი, პარიზი, ვენა, ამსტერდამი. საბოლოოდ, ტვირთი მილანში შეგროვდა და სიცილიაში გაიგზავნა," - აცხადებენ იტალიელი პოლიციელები.

პოლიციისგან განსხვავებით, სიცილიის მაფიასთან დაკავშირებით, სხვა მოსაზრებები აქვთ იტალიელ ექსპერტებს. მათი თქმით, ერთ დროს ძლევამოსილი დაჯგუფება - "კოზა ნოსტრა" ახლა დასუსტებულია, რადგან არენაზე ახალი კლანები გამოჩნდნენ და იმდენად გამსხვილდნენ, რომ "კოზა ნოსტრა" ჩამოიტოვეს. სასასტიკით ცნობილი მაფიოზური დაჯგუფებები - "ნდრაგენტებისა" და "კალაბრიული" დაჯგუფებები "კოზა ნოსტრას" წიაღიდან წარმოიშვნენ და იმდენად გაძლიერდნენ, რომ "სიცილიური ოჯახს" ომიც გამოუცხადეს, რა დროსაც "კოზა ნოსტრა" დამარცხდა.

რამდენიმე დღის წინ ჩატარებული უპრეცედენტოდ წოდებული, ფართომასშტაბიანი ოპერაციიდან მესამე დღეს ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთმა დაკავებულმა მაფიოზმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

"ის ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ სხვა მაფიოზები ორმაგ თამაშს თამაშობდნენ," - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა უცხოურმა პრესამ გაეტანო ლო პრესტის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით. გარდაცვლილი მაფიოზის ცხედარი ციხის თანამშრომლების საკანში ნახეს. იტალიელი პოლიციელების ინფორმაციით, 98 მაფიოზთან ერთად დაკავებულმა გაეტანო ლო პრესტიმ იმ ინტრიგებს ვერ გაუძლო, რომელიც "სიცილიის მაფიის" ახალი ბოსის არჩევას უკავშირდებოდა.

როგორც გაირკვა, დაკავებულ მაფიოზთა უმრავლესობა, ციხიდან ახალი გათავისუფლებული იყო და ისინი შინა პატიმრობაში იმყოფებოდნენ. შინა პატიმრობაში მყოფი მაფიოზების ფარული შეხვედრის ადგილი პალერმოს საავადმყოფოები იყო, სადაც მათ კანონი აძლევდა მისვლის უფლებას. პოლიციის ინფორმაციით, მაფიოზების ბოლო შეხვედრა პალერმოს ერთ-ერთ საავადმყოფოში 14 ნოემბერს შედგა.

"სწორედ ამ შეკრების შემდეგ გადავწყვიტეთ გვემოქმედა. გამოძიებას ჰქონდა სერიოზული ინფორმაციები. ისინი იმ ჯაშუშების საშუალებით მოვიპოვეთ, რომლებიც მაფიოზების წრეში ფარულად შევიდნენ და მათში ეჭვი არავის შეპარვია," - აცხადებს პროკურორი პიტრო გრასო, რომლის შეფასებითაც, ოპერაცია, კოდური სახელწოდებით "პერსეი", ლეგენდარული "სიცილიის მაფიისთვის" სასიკვდილო აღმოჩნდა.

საჯარო რეესტრის წარმომადგენლობა ეკონომიკის სამინისტროში

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიხსნა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის წარმომადგენლობა, რომელიც იმუშავებს სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების, უზურფრუქტის, ქონების გადაცემის და, ზოგადად, სახელმწიფო ობიექტების მიწების, შენობა-ნაგებობების რეგისტრაციის საკითხებზე.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომსახურების მიღება სურთ, აღარ მოუწევთ სარეგისტრაციო სამსახურში ვიზიტი. საჭირო მომსახურების მისაღებად მათ შეუძლიათ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განთავსებულ საჯარო რეესტრის წარმომადგენლობებს მიმართონ და შესაბამისი მომსახურება "ერთი ფანჯრის პრინციპით", შენობიდან გაუსვლელად მიიღონ.

აღნიშნული სიახლე სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მნიშვნელოვნად გაუმარტივებს უძრავი ქონების სარეგისტრაციო პროცედურას, რაც ეფექტიანი და მომხარებელზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვის აუცილებელი წინაპირობაა.

ინტერპრესნიუსი

ჯორჯ ბუში ჩრდილში დარჩენას ამჯობინებს

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი წარმოთქვამს თუ არა გამოსამშვიდობებელ სიტყვას.

"პრეზიდენტთა უმრავლესობას, სწორედ, გამოსამშვიდობებელი სიტყვით დაუტოვებია თეთრი სახლი, ამიტომ ამაზე სერიოზული დაფიქრება მმართებს. თუ მაინც მივიღებ ამგვარ გადაწყვეტილებას, საზოგადოება ძალიან ემოციურ გამომშვიდობებას არ უნდა ელოდოს," - აღნიშნა ბუშმა.

პრეზიდენტის თქმით, უკანასკნელ საპრეზიდენტო გამოსვლაში ალბათ ყურადღებას მაინც სიფრთხილის შენარჩუნების აუცილებლობაზე გაამახვილებს, რადგან ტერორისტული საფრთხე ჯერ კიდევ არ განელებულა.

რაც შეეხება მასმედიის დამოკიდებულებას მისი პიროვნებისა და ორი ვადით საპრეზიდენტო მმართველობისადმი, ჯორჯ ბუშს პასუხის გაცემა ცოტა არ იყოს გაუჭირდა.

"რა თქმა უნდა, ვკითხულობ, რასაც ჩემზე წერენ და ხშირად არც მსიამოვნებს წაკითხულის შინაარსი, მაგრამ მერე ვხვდები, რომ მასმედიის წარმომადგენლებსაც შეიძლება არ მოსწონდეთ ის, რასაც მე ვამბობ ხოლმე," - თქვა ჯორჯ ბუშმა.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის გულწრფელობას თუ დავუჯერებთ, იგი ნაწყენი მაინც არ რჩება პრესაზე მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან იმედგაცრუებული რჩებოდა მედიის მხრიდან ისეთი "ხისტი რიტორიკის წახალისებით", როგორი გამონათქვამიც იყო "ბუში მატყუარაა".

"საეთერო დროზე ძალიან სერიოზული კონკურენციაა და ბევრს ჰგონია, რაც უფრო ხმამაღლა იყვირებს მათი შემჩნევის შანსიც მეტი იქნება," - მიიჩნევს ჯორჯ ბუში.

მისი აზრით, თეთრ სახლში გატარებულმა რვა წელიწადმა მას მართალია პრინციპები ვერ შეუცვალა, მაგრამ "დააბრძენა და ცოდნა გაუღრმავა."

"2000 წელს ჩატარებულ არჩევნებში ჩემი გამარჯვება ამომრჩეველთა უმრავლესობას ეეჭვებოდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა არჩევნების შემდგომ ქვეყნის "გაერთიანების" ამოცანა. განწყობის თვალსაზრისით უკეთესობისკენ ცვლილებას 2004 წლის არჩევნების შემდეგ ველოდი, მაგრამ ასე არ მოხდა," - აღნიშნა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

მასმედიასა და ამომრჩევლებთან დაკავშირებული იმედგაცრუების გარდა, ჯორჯ ბუშმა ინტერვიუში სხვა თემაზეც ისაუბრა. მან დაადასტურა ოთხშაბათს თეთრი სახლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია 2009 წლის 7 იანვარს თეთრ სახლში დაგეგმილი ვახშმის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ყოფილი, მოქმედი და მომავალი პრეზიდენტები.

"ეს იდეა ახლად არჩეულ პრეზიდენტ ობამას ეკუთვნის. ასეთი შეხვედრის ორგანიზების წინადადება შემომთავაზა მაშინ, როცა მას ოვალურ კაბინეტში 11 ნოემბერს შევხვდი," - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა.

თეთრი სახლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სადილობისას მაგიდას შემოუსხდებიან ბილ კლინტონი, ჯორჯ ბუში უფროსი, ჯიმი კარტერი, ჯორჯ ბუში უმცროსი და ბარაკ ობამა.

"ეს ძალიან საინტერესო ღონისძიება იქნება," - ფიქრობს ჯორჯ ბუში.

გულმოწყალების მოლოდინი საპყრობილეში

ერაყელი ჟურნალისტის მონანიება

ხათუნა გაბიევი

ერაყის პრემიერისადმი გაგზავნილი და უპასუხოდ დარჩენილი შეწყალების წერილი. "თამამი" ჟურნალისტისადმი ერაყელი ხალხის კეთილგანწყობა და ხელისუფლების მკაცრი ტონი. ეგვიპტური ტელეარხის ერაყელი ჟურნალისტი მუნთადარ აზ-ზეიდი ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე ჩადენილ აქტს ნანობს და ჯორჯ ბუშის მისამართით ნატყორცნი ფეხსაცმელებისა და სალანძღავი სიტყვებისთვის პატიებას ითხოვს.

მუნთადარ აზ-ზეიდის გათავისუფლების მოთხოვნით ერაყელები საპროტესტო აქციებს მართავენ

ერაყელი ჟურნალისტი, რომელმაც 14 დეკემბერს ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს სიტყვა შეაწყვეტინა ყვირილით - **"ეს ერაყელებისგან საჩუქარია. ეს გამოსამშვიდობებელი კოცნაა. შენ ძაღლი ხარ. ესეც შენ ქვრივების, ობლებისა და ერაყში მოკლულების სახელით"** და ფეხსაცმელები ესროლა, ნამოქმედარს ნანობს და საკუთარ ქცევას "გულის ამრევს" უწოდებს. ეგვიპტურ ტელეარხ "ალ-ბაღდადიას" კორესპონდენტმა მუნთადარ აზ-ზეიდიმ ერაყის ხელისუფლებას შეწყალების თხოვნით მიმართა. სკანდალის ინიციატორი კორესპონდენტი პრემიერ-მინისტრ ნური ალ-მალიკისთვის გაგზავნილ ხელნაწერ წერილში ნამოქმედარს ინანიებს და თანაგრძნობის გამომჟღავნებას ითხოვს. წერილი ხუთშაბათსაა გაგზავნილი, მაგრამ ერაყის პრემიერ-მინისტრის პრესმდივნის თქმით, ჯერ ძალიან ადრეა ნური ალ-მალიკის რეაქციაზე საუბარი. ჯერჯერობით საქმე სასამართლო ხელისუფლების ხელშია.

გავრცელებული ცნობებით, ინციდენტის შემდეგ ჟურნალისტს ერაყის სამთავრობო დაცვამ სცემა. ჟურნალისტის ძმის თქმით, მუნთადარ აზ-ზეიდის მოტეხილი აქვს ხელი და რამდენიმე ნეკნი, ჭრილობები აქვს თვალის უპეებსა და ხელის მტევნებზე. ეგვიპტური ტელეარხის ჟურნალისტი ამჟამად საპყრობილეშია.

მასმედიის ინფორმაციით, ალ-მალიკი ჟურნალისტის ასეთ ქცევაში გათავისუფლების სურვილს ხედავს და შიშობს, მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში შიიტი რეპორტიორი სახიფათო სახალხო ლიდერად არ იქცეს.

გაზეთ "სტამპას" მიერ "ადამიან-ფეხსაცმელად" წოდებულის ძმა აცხადებს, რომ მუნდათარის მონანიება დაკავების პირველი დღიდანვე საშინელი მოქცევის, წამებისა და შეურაცხყოფის შედეგია.

სასამართლო მოსმენა, სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან დაიწყება. ერაყის სასამართლო ხელისუფლების ინფორმაციით, მუნდათარ აზ-ზეიდის უცხო სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმაში დასდებენ ბრალს.

ფეხსაცმლების სროლის გამო რეპორტიორს თავისუფლების აღკვეთა რომ ემუქრება, უდავოა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, რა ვადით. ერაყის პრემიერ-მინისტრის თქმით, ასეთი დანაშაული ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მაგრამ რადგან უცხო სახელმწიფოს პრეზიდენტის გვერდით ერაყის ხელისუფლების მეთაურიც იდგა, დანაშაული კიდევ უფრო "მძიმდება".

მუნთადარ აზ-ზეიდის საქციელმა სამაგიეროდ დიდი მოწონება დაიმსახურა არაბულ სამყაროში. აღმოსავლეთში ადამიანისთვის ფეხსაცმელების სროლა, ისევე როგორც ძაღლთან შედარება, დიდი შეურაცხყოფის ტოლფასია. ჟურნალისტის ძმის დირჰამის თქმით, აზ-ზეიდიმ გამოხატა ერაყის მილიონობით მცხოვრების სურვილი "შეურაცხყოფა მიეყენებინა ტირანისთვის" და ასეთი ქცევისკენ მას ერაყელების იმ ტანჯვამ უბიძგა, რასაც ყოველდღე საკუთარი თვალით ხედავდა.

დირჰამ აზ-ზეიდის თქმით, იგი გაოგნდა, როცა ნახა, როგორ ესროლა მისმა ძმამ ჯორჯ ბუშს ფეხსაცმელები, მაგრამ სიამაყით აღივსო.

"ჩემს ძმას არაფერი აქვს ამერიკელი ხალხის საწინააღმდეგო, უბრალოდ, ეს აქტი იყო ერაყის რეაქცია ომსა და ამერიკელი სამხედროების მიერ განხორციელებული ოკუპაციის წლებზე," - განაცხადა "მეამბოხე" ჟურნალისტის ძმამ.

ერაყში მუნთადარ აზ-ზეიდის მხარდამჭერი დემონსტრაციები ეწყობა; ლიბანურმა ტელეარხმა მისთვის ხელფასის გადახდა დაიწყო; ადვოკატები ერთმანეთს ეცილებიან სკანდალით სახელგანთქმული ჟურნალისტის სასამართლოში დაცვის უფლების მოპოვებისთვის; ბიზნესმენები მზად იყვნენ, ლეგენდარულ ფეხსაცმელებში მილიონობით აშშ დოლარი გადაეხადათ მანამდე, ვიდრე ნივთმტკიცებას გამოძიება გაანადგურებდა; ლიბანურმა ფონდმა კი ჟურნალისტი მედლით დააჯილდოვა.

ერაყის პარლამენტის სპიკერმა მაჰმუდ ალ-მაშხადანიმ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება მას შემდეგ, რაც დეპუტატებს შეხლა-შემოხლა მოუვიდათ დაკავებული ჟურნალისტის ბედ-იღბლის განხილვის დროს.

"მე არ შემიძლია, ღირსებით ვუხელმძღვანელო ასეთ პარლამენტს," - განაცხადა თანამდებობის დატოვებისას ალ-მაშხადანიმ.

ერაყის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა თავის ხალხს და დაგმო ჟურნალისტის ქმედება. პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა იასინ მაჯიდმა აზ-ზეიდი სახელმწიფოს შეურაცხყოფაში დაადანაშაულა და მის ქცევას "ბარბაროსული და სამარცხვინო" უწოდა.

თავად თავდასხმის ობიექტმა კი ინციდენტს პრეზიდენტობის წლებში ყველაზე უცნაური უწოდა და აღნიშნა, რომ არ არის განაწყენებული ერაყელ ჟურნალისტზე. მან ერაყის ხელისუფლებას მოუწოდა, არ ჰქონდეთ "გადაჭარბებული" რეაქცია.

ვაშინგტონში ზბიგნევ ბჟეზინსკის ქალიშვილი გაძარცვეს

ვაშინგტონში უცნობმა მძარცველმა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის ქალიშვილი მიკა ბჟეზინსკა გაძარცვა, რომელიც ტელეარხ MSNBC-ის წამყვანია.

ინციდენტი დილის 5 საათზე მოხდა ადგილობრივი დროით, როდესაც მიკა სასტუმროს წინ ავტომობილს ელოდა ტელესტუდიაში წასასვლელად, სადაც მას პროგრამა "დილა ჯოსთან ერთად" მიჰყავს.

მძარცველმა ბჟეზინსკას 20 დოლარი მოსთხოვა, თუმცა ქალბატონს საფულეში მხოლოდ 6 დოლარი მოეძებნა. მომხდარის შესახებ ტელეეთერით გადაცემის სტუმარმა ჯო სკარბორომ მოჰყვა, ხოლო ვაშინგტონის მერმა ედრიან ფენთიმ პირდაპირ ეთერში დადო დაპირება, რომ დამნაშავეს მალე დაიჭერენ, მიუხედავად მიკას თხოვნისა, დამნაშავეს აპატიონ. **მედიანიუსი**

რუს ნაციონალისტებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დივერსიაში ადანაშაულებენ

რუს ნაციონალისტებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დივერსიაში ადანაშაულებენ: "ისინი ვაშინგტონის ფარული აგენტები არიან და ცდილობენ, დაშალონ რუსეთი." ეს განცხადება მოსკოვში გამართულ მრგვალ მაგიდაზე გაკეთდა, რომელშიც რუსეთის ფედერაციული სამსახურების მიერ შექმნილი სტრუქტურების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

"რუსული ნაციონალიზმი დასავლეთიდან იკვებება. მისი იდეოლოგია ვაშინგტონიდან მოდის და სხვა ეროვნებათაგან რუსი ეროვნების ადამიანების გამოყოფას გულისხმობს," - განაცხადა მრგვალ მაგიდაზე ორგანიზაცია "ახალგაზრდობის ევრაზიული კავშირის" თავმჯდომარემ კოროვინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ დღეს რუსეთის შიგნით გაშლილია ქსელური ომი, რომლის ორგანიზატორები არიან სამართალდამცავი და უცხო ქვეყნების დისიდენტური ორგანიზაციები. მათ მიზანს კი რუსეთის დაშლა წარმოადგენს.

"მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს კი ქსელური სტრატეგიის უკეთ მუშაობისათვის ძალიან მალე უფრო აქტიურად გამოიყენებენ. მათი მთავარი მიზანი დიდი რუსული სივრცის დაშლაა," - აცხადებს კოროვინი და დასძენს, რომ რუსული ნაციონალიზმი "სუროგატულია".

მისივე თქმით, იმის ნაცვლად, რომ წვერი მოუშვან და თმა გაიზარდონ, რუსი ნაციონალისტები თავს იპარსავენ, მაგალითს დასავლეთიდან იღებენ და არ კითხულობენ პუშკინსა და დოსტოევსკის.

"რუსი ახალგაზრდები ამერიკულ ექსტრემისტულ მოძრაობებს ბაძავენ," - აცხადებს თავის მხრივ რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი ლარპეცი.

როგორც მრგვალ მაგიდაზე აღინიშნა, რუსული ნაციონალისტური ორგანიზაციები ავითარებენ თეზის იმის შესახებ, რომ "რუსეთის სახელმწიფო ეს აბსოლუტური ბოროტებაა, რომელიც უნდა განადგურდეს". **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთში წლის ადამიანად ვლადიმირ პუტინი დაასახელეს

ფონდ "საზოგადოებრივი აზრის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რუსეთის მოქალაქეების უმეტესობამ "წლის ადამიანად" ვლადიმირ პუტინი დაასახელა.

შედეგი რუსეთის 44 რეგიონის მკვიდრთა გამოკითხვით გამოვლინდა. ვლადიმირ პუტინის კანდიდატურას გამოკითხულთა 40 პროცენტმა დაუჭირა მხარი, დანარჩენი ხმები სხვადასხვა კანდიდატურებზე გადანაწილდა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა აზრის მიხედვით, რუსეთის პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა საუკეთესო ხუთეულში ასევე შედიან: დიმიტრი მედვედევი (12 პროცენტი), ალექსი II (4 პროცენტი), ვლადიმერ ჟირინოვსკი და გენადი ზიუგანოვი (2-2 პროცენტი).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 36 პროცენტს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა.

"კულტურისა და ხელოვნების სფეროში წლის ადამიანად" გამოკითხულთა 5 პროცენტმა ალექსანდრე სოლჟენიცინი დაასახელა, "წლის სპორტსმენის" ტიტული კი ფეხბურთელ ალექსანდრე არშავინს (8 პროცენტი) ერგო.

გამოკითხულთა 15 პროცენტი "წლის მთავარ მოვლენად" მსოფლიო ფინანსურ კრიზისს ასახელებს, მომდევნო ადგილზეა რუსეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები (8 პროცენტი). აშშ-ში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები წლის მთავარ მოვლენად 7 პროცენტმა დაასახელა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში მომხდარი მოვლენები "წლის მოვლენად" 7 პროცენტმა შეაფასა, პეკინის ოლიმპიადა - 6 პროცენტმა, ალექსი II-ს გარდაცვალება - 5 პროცენტმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ანტიამერიკული განცხადებები დსთ-ს სამიტის წინ

ლევან გელაშვილი

20-21 დეკემბერს ყაზახეთის კურორტი ბოროვოე დსთ-ს რიგი ქვეყნების პრეზიდენტების არაფორმალურ შეხვედრას უმასპინძლებს. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა სომხეთის, ბელარუსის, ყირგიზეთის, რუსეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტები კრიზისის დაძლევის გზების განსახილველად თავის ქვეყანაში მიიწვია. შეხვედრას არ დაესწრება დსთ-ს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის, მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი, ასევე უკრაინისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებზე დაყრდნობით სააგენტო "ინტერფაქსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბოროვოეში გასამართ დსთ-სა და კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის არაფორმალურ სამიტზე არ ჩავა უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვიც.

როგორც დმიტრი მედვედევის ადმინისტრაციაში განაცხადეს, ყაზახეთში დსთ-ს ქვეყნების მეთაურების შეკრება არაფორმალური შეხვედრის ფორმატში ჩაივლის. აღსანიშნავია, რომ რაიმე ოფიციალური დოკუმენტი აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებული არ იქნება.

"ყაზახეთის პრეზიდენტის ინიციატივას იმაში მდგომარეობს, რომ გააერთიანოს ყაზახეთის, რუსეთისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების ძალისხმევა, რომელთაც სურვილი აქვთ, ერთობლივი ძალებით გაუმკლავდნენ მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგებს. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება ანგარიშსწორებისთვის დოლარიდან რუსულ რუბლში გადასვლის საკითხი," - განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ერმუხამეტ ერტისბაევმა.

რუბლზე გადასვლა არააქტუალურია სუამ-ის წევრი ქვეყნებისა და უზბეკეთისთვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ ევრაზიის ეკონომიკური საბჭო ("ევრაზესი") დატოვა. სამაგიეროდ, ანგარიშსწორებისთვის რუბლზე გადასვლის საკითხის განხილვას ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო 22 დეკემბერს მოსკოვში გეგმავს. ის, რომ ბელარუსში უპირატესობას სწორედ რუსულ ვალუტას ანიჭებენ, გასულ კვირას ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სერგეი სიდორსკიმაც დაადასტურა.

როგორც რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი აჯარ კურტოვი აცხადებს, დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობას თავიანთი ეკონომიკა დივერსიფიცირებული არა აქვთ და ძირითადად ექსპორტზე არიან დამოკიდებულნი. ნედლეულზე მოთხოვნა ეცემა, რაც ეროვნულ ვალუტებზეც აისახა.

კრიზისი დსთ-ს ქვეყნებს ინტეგრაციისკენ უბიძგებს, რადგან ბევრ ქვეყანას მთლიან შიდა პროდუქტში უფრო მეტი დანაკარგი აქვს, ვიდრე რუსეთს, მიიჩნევს მეორე რუსი ეკონომისტი იაროსლავ ლისოვლიკი. მისი თქმით, რუბლი საკმაოდ სტაბილურია არა მარტო თანამეგობრობის ქვეყნების, არამედ სხვა განვითარებადი სახელმწიფოების ვალუტების ფონზეც კი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სენსაციური განცხადებაც, რომელიც ბოროვოეს შეხვედრის წინ ყირგიზეთის პრეზიდენტმა გააკეთა - კურმანბეკ ბაკიევი მანასში ამერიკული სამხედრო ბაზის დახურვას აპირებს. ინტერვიუ, რომელიც ბაკიევმა რუსეთში დარეგისტრირებულ ინტერნეტ-პორტალ "სვობოდნაია პრესას" მისცა, საკმაოდ ხმაურიანი სათაურით გამოქვეყნდა - **"დროა, აშშ-მ ყირგიზეთი დატოვოს."**

AFP ' 2008

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელ მაკაროვის თქმით, შეერთებულმა შტატებმა "სამხედრო ბაზებით დახუნძლეს მსოფლიოს ყველა რეგიონი".

AFP ' 2008

ლუკაშენკო, ნაზარბაევი და სხვა ლიდერები დსთ-ს სამიტზე რუბლის ზონასთან მიერთების საკითხს განიხილავენ.

კერძოდ, ყირგიზეთის პრეზიდენტი იხსენებს 2001 წელს, როდესაც ბიშკეკმა ვაშინგტონს მანასის აეროპორტში სამხედრო ბაზის განთავსების უფლება მისცა. **"მე მაშინ პრემიერ-მინისტრი ვიყავი. მახსოვს, დათქმული იყო, რომ ბაზა თალიბებთან ომის დასრულებამდე იარსებებდა. ჩვენ მათ დახმარების ხელი გავუწოდეთ,"** - აღნიშნა ბაკიევმა.

ავღანეთში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრისას ყირგიზეთის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ **"დღეს ავღანეთს ჰყავს პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა. ჩემი აზრით, დადგა დრო, როდესაც მათ შეუძლიათ, თავად დაამყარონ წესრიგი ქვეყანაში. ყოველ შემთხვევაში, ყირგიზეთში აშშ-ს ბაზის გაფართოებაზე საუბარიც კი არ შეიძლება იყოს. დიახ, ისინი ითხოვდნენ დამატებით ტერიტორიას, მაგრამ ეს საკითხი დახურულია. იმის გამო, რომ ავღანეთში საომარი მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, ვფიქრობ, უკვე შესაძლებელია მანასში მოქმედი სამხედრო ბაზის საქმიანობის შეწყვეტაზე საუბარი."**

ეს განცხადება თავისთავად სენსაციური გახდა იმ ბრალდებების ფონზე, რომელიც ბოროვოეს შეხვედრის წინ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა მაკაროვმა აშშ-ს მისამართით წამოაყენა. გენერლის თქმით, შეერთებულმა შტატებმა "სამხედრო ბაზებით დახუნძლეს მსოფლიოს ყველა რეგიონი" და **"ახალი სამხედრო ბაზების გასხნას აპირებენ უზბეკეთისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე."**

იმავდროულად, ყირგიზეთის ექსპერტთა წრეებში უკვე აქტიურად მსჯელობენ ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზის არსებობის საკითხზე. სამხედრო ექსპერტმა ლეონიდ ბონდარეცმა ბიშკეკის პრესკლუბთან ინტერვიუში განაცხადა: **"თუ ჩვენი პრეზიდენტი რუსეთისა და ჩინეთის ინტერესებს უპასუხებს, ჩვენ ამით მხოლოდ მოგებულნი დავრჩებით. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ გარკვეული ვალდებულებები ავიღეთ ჩვენს თავზე დსთ-სა და კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის ფარგლებში და როგორც წესიერი სახელმწიფო, ამ ვალდებულებებს უნდა ვასრულებდეთ."**

განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ყირგიზეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ მურატბეკ იმანალიევს. **"არსებობს აზრი, რომ რუსეთისა და ჩინეთის ინტერესებში მანასის ავიაბაზის ლიკვიდაცია შედის, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის,"** - აღნიშნავს იმანალიევი. ექსმინისტრმა მოიშველია გენერალ მაკაროვის ადრინდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ მანასის ამერიკული ბაზა **"რუსეთის ეროვნულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება რადგან, წმინდად სამხედრო თვალსაზრისით ბაზას არ წარმოადგენს. ის უფრო ზურგის მომარაგების ბაზა გახლავთ."**

"ავღანეთი ძალიან სერიოზული პრობლემაა, რომელთანაც მთელი ცენტრალური აზიის უსაფრთხოებაა დაკავშირებული. ამიტომ, ყირგიზეთის ხელმძღვანელობა კარგად უნდა ხვდებოდეს, რომ ამერიკული ბაზის არსებობა მხოლოდ აშშ-სა და ყირგიზეთს შორის ურთიერთობების ჩარჩოებში არ ჯდება," - მიიჩნევს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

რევიუ

ცვიდმეტი ქართული

"საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი" - ქართული დიალექტების უნიკალური ბაზა

ია ვეკუა

ფერეიდნელი ქართველები

კახეთში წყაროზე, გურულებთან ყანაში, აჭარის ზღვის სანაპიროზე ან სულაც ფერეიდანში - საუკუნეების წინ სამშობლოდან გადახვეწილი ქართველების ოჯახებში გვესმის ქართული სიტყვები, ფრაზები, ინტონაციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ყველასთვის ნაცნობი ლიტერატურული ქართულისგან. ეს ქართული ენის დიალექტებია, რომელთა 17 ნაირსახეობა არსებობს და ყველა მათგანი თვითმყოფადი და ლინგვისტურად მდიდარია. პროექტი, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ, სწორედ მათი შეკრებას, აღწერას, ერთ მთლიანობაში მოქცევასა და საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობას ემსახურება.

"საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი" არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების, კერძოდ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ მარინა ბერიძის პროექტია,რომელიც რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა. იგი ამ პროექტზე 2004 წლიდან მუშაობს და მისივე თქმით, ამჟამად აღწერილი და ვირტუალურ სამყაროში მონაცემთა ბაზის მხოლოდ ერთი მესამედია განთავსებული. მომავალი წლის დამდეგს კი გაიმართება სპეციალურად ამ პროექტისთვის შექმნილი ინტერნეტ გვერდის პრეზენტაცია იმის ნიშნად, რომ ქართული ენის დიალექტების ბაზა ანუ ლინგვისტური პორტრეტი ნებისმიერი მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

ინტერნეტ გვერდის შესახებ: მიუხედავად იმისა, რომ მასზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, შეიძლება ითქვას, რომ უკვე წარმოადგენს უნიკალურ საძიებო სისტემას, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას. ამისთვის კი უმარტივესი საფეხურების გავლა მოგიწევთ. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ვთქვათ, გვსურს იმერული დიალექტის კონკრეტული ნიმუშის მოძიება. ამისთვის სპეციალურ გრაფაში ჯერ ვირჩევთ რეგიონს (იმერეთი, ქვემო იმერეთი და ა.შ.), შემდეგ ვუთითებთ რაიონს, სოფელს, ენას (ქართული) და დიალექტს (იმერული). ამის შემდეგ ვიწყებთ ასევე კონკრეტულ პერიოდში გაკეთებული ჩანაწერის ძიებას, რისთვისაც ვუთითებთ მისი ჩაწერის თარიღს.

აქვე საგულისხმოა, რომ ბაზაში თვითოეული ჩანაწერის შესახებ ზედმიწევნით ამომწურავი ინფორმაცია ინახება. მითითებულია ჩამწერის, ტექსტის დამუშავების ავტორის ვინაობა და ისიც - მონათხრობი ხელითაა ჩაწერილი თუ ტექნიკის დახმარებით. ამას მოსდევს ალბათ ყველაზე საინტერესო ინფორმაცია - მთქმელის ვინაობა, წარმომავლობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, ინფორმაცია მისი ოჯახის წევრებისა და წინაპრების შესახებ. აქვე შეგეძლებათ გაიგოთ, იგი ჩაწერის დროს საქართველოში ცხოვრობდა, ნებაყოფლობით იყო ემიგრირებული თუ მასობრივი მიგრაციისას მოხვდა სამშობლოს საზღვრებს მიღმა. ერთი სიტყვით, "საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი" არა მხოლოდ დიალექტური ტექსტების კორპუსს წარმოადგენს, არამედ ჩვენი წინაპრების ყოფის ელემენტარული დეტალების გაგებაც შეგვიძლია. აქვე ერთ საინტერესო ისტორიასაც გიამბობთ: ერთ-ერთი ჩანაწერის გაშიფვრისას პროექტზე მომუშავე ინსტიტუტის თანამშრომელმა მოისმინა ამბავი თავისი ბაბუის შესახებ, რომელიც ახალგაზრდობაში გარდაიცვალა და არა თუ შვილიშვილს, შვილსაც კი არ ახსოვდა. ჩანაწერში ნახსენები იყო მისი სახელი, გვარი და საქმიანობის სფერო, ასევე მისი ცხოვრების ისეთი დეტალები, რომლებიც ოჯახმა არ იცოდა.

მონაცემთა ბაზაში ამჟამად ასობით ჩანაწერია განთავსებული (როგორც წერილობითი, ისე აუდიო ჩანაწერის სახითაც), რაც მთლიანობაში 79 530 სიტყვა-ფორმას შეადგენს. საძიებო სისტემა კი იმგვარადაა აწყობილი, რომ თვითოეული სიტყვის შესახებ ზღვა ინფორმაციას იღებ. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა "აქ". როგორც ცნობილია, ეს სიტყვა ადგილის მისათითებლად გამოიყენება, სხვადასხვა დიალექტში კი ზმნის სახესაც იძენს (ქონა). თუ სისტემას ამ სიტყვის მოძიებას მოსთხოვთ, ის არა მხოლოდ იმ ტექსტებს გადაარჩევს, რომლებშიც ის გამოიყენება, არამედ გვთავაზობს ახსნასაც, რომელ დიალექტში რა სახით გვხვდება.

რაც შეეხება მონათხრობებს, ისინი ბაზაში ჟანრობრივად და თემატურადაა დახარისხებული: ამბავი, პროზა, პოეზია და სხვა ბუნების, კუთხური ქიშპის, ზღაპრების, ომების, სიყვარულის, რიტუალებისა და სხვა კატეგორიებშია გადანაწილებული. ბაზაში შესულია არა მხოლოდ წლების განმავლობაში ენათმეცნიერების მიერ დაგროვილი, არამედ სპეციალურად ამ პროეტქის ფარგლებში მოწყობილი ექსპედიციებისას ჩაწერილი მასალაც. მარინა ბერიძის თაოსნობით პროექტის მონაწილე მეცნიერებმა უკვე მოიარეს გურია, აჭარა, იმერეთი, მესხეთი, კახეთი და ხევსურეთი. ასევე იყვნენ ფერეიდანშიც, საიდანაც უნიკალური ჩანაწერები ჩამოიტანეს - სწორედ იმ ქართველების მონათხრობები, რომლებსაც თავიანთი ისტორიული სამშობლო თვალითაც არ უნახავთ, მაგრამ მათ მეხსიერებას ჯერ კიდევ ახსოვს წინაპრების მიერ მოთხრობილი ქართული ისტორიები და ქართული სიტყვები...

Screen Actors Guild დაჯილდოება

ბრიტანელი მსახიობი ქეით უინსლეტი 2009 წლის Screen Actors Guild-ის დაჯილდოების ორ ნომინაციაზეა წარდგენილი. 33 წლის მსახიობი ფილმში "რევოლუციური გზა" საუკეთესო როლის შესრულებისთვის წარადგინეს, ხოლო მეორე ნომინაცია მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ერგო ფილმში "მკითხველი", რომელიც ომის შემდგომ პერიოდს ასახავს.

ხუთგზის "ოსკარის" ნომინანტი მსახიობი ქეით უინსლეტი, გასულ კვირას "ოქროს გლობუსის" ნომინაციებშიც ამავე ფილმებით წარადგინეს. აღსანიშნავია, რომ მსახიობი ამ ფილმებში შესრულებული როლისთვის ლონდონის კინოკრიტიკოსთა ნომინანტიც იყო. ფილმში "რევოლუციური გზა" ქეით უინსლეტი მსახიობ ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად თამაშობს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ფილმისთვის ისინი "ოქროს გლობუსის" ნომინანტები გახდნენ, მაგრამ დი კაპრიოს სამწუხაროდ SAG-ის დაჯილდოებაზე საუკეთესო მსახიობის ნომინაცია არ ერგო. მსგავსი შემთხვევა 1997 წელსაც მოხდა, როცა "ტიტანიკში" შესრულებული როლებისთვის "ოქროს გლობუსის" ნომინაციასთან ერთად, ქეით უინსლეტი SAG ის ნომინანტიც გახდა, ლეონარდო დი კაპრიო კი ამ დაჯილდოების მიღმა აღმოჩნდა.

Screen Actors Guild დაჯილდოებაზე საუკეთესო მსახიობის ჯილდოს მოსაპოვებლად ქეით უინსლეტს კონკურენციას გაუწევენ მსახიობები მერილ სტრიპი (Doubt), ანჯელინა ჯოლი (Changeling's) და ნაკლებად ცნობილი მსახიობი მელისა ლეო (Frozen River). მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ქეით უინსლეტთან ერთად წარდგენილნი არიან მსახიობები ემი ადამსი, ვიოლა დევისი და პენელოპა კრუზი.

დენი ბოილის ფილმი "Slumdog Millionaire" ერთ-ერთია ხუთ კანდიდატს შორის, რომელიც საუკეთესო ფილმის პრიზისთვის იბრძოლებს. წლევანდელ SAG-ზე 5 ნომინაციით ფილმი "ეჭვი" ლიდერობს, მას სამ-სამი ნომინაციით მოყვებიან ფილმები "მილკი" და "ბენჯამინ ბატონის საოცარი საქმე".

მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის წარდგენილნი არიან ბრედ პიტი ფილმში "ბენჯამინ ბატონის საოცარი საქმე", შონ პენი ფილმში "მილკი", ფრანკ ლაინჯელა ფილმში "ფროსტი/ნიქსონი" და მიკი რურკი ფილმში "მოჭიდავე".

Screen Actors Guild დაჯილდოება ასევე მოიცავს ნომინაციას მამაკაცის საუკეთესოდ განსახიერებისთვის სატელევიზიო ფილმებში და მინისერიალებში, რომლის კანდიდატებიც არიან მსახიობები რალფ ფაენსი და ტომ უილკინსონი.

დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია 25 იანვარს გაიმართება.

ბასა ჭანიკაშვილის შაბათობა

ინტერვიუ მეორე

ქეთევან მანტერაშვილი

რუსეთის აგრესიის მსხვერპლი

ბ.ჯ. - დღევანდელი ჩვენი სტუმარია ქეთევან მანტერაშვილი. იგი სრულიად შემთხვევით, სამარშუტო ტაქსში შემხვდა. მიცნო. მითხრა, გასული შაბათის "24 საათი" წავიკითხე და მინდა ჩემი სათხოვარი მოგიყვეო. ინტერვიუ სახელდახელოდ ჩავწერე. მოვიმარჯვე რა ჩემი ციფრული ხმის ჩამწერი.

ბ.ჯ. - ქალბატონო ქეთევან, გააცანით თქვენი თავი.

ქ.მ. - დიდი მადლობა, რომ მომეცა საშუალება და რავი... მე მქვია ქეთევან მანტერაშვილი. ჩემო კარგო, ჩემო კეთილო ადამიანო, მინდა ჩემი გასაჭირი მოგიყვე.

ბ.ჯ. - მოდით, ქალბატონო ქეთევან, გვითხარით, თქვენი პროფესია, რას საქმიანობთ. რითი ხართ დაკავებული.

ქ.მ. - ქიმიკოსი ვარ პროფესიით და აგერ უკვე ოცი წელია უმუშევარი ვარ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მე ჩემო კარგი, უმუშევრობას ისე შევეჩვიე, რომ აწი უკვე მუშაობას ვერც კი დავიწყებ *(იცინის)*.

ბ.ჯ. - კი მაგრამ, როგორ ცხოვრობთ? უკაცრავად ასეთი კითხვისათვის.

ქ.მ. - არა გენაცვალე, რა უკაცრავად, პირიქით, ასე მარშუტკაში რო მოგვარდი და რა ვიცი, ამ საახალწლო დღეებში, ჩემი გასაჭირი აბა რა მოსატანია, მაგრამ მინდა გთხოვოთ, რომ ნინო ქაჯაიასთან რამენაირად იქნებ, რომ მინდა მაგ გადაცემაში, ნინო ისე მიყვარს, ისე მიყვარს დედიკო, რომ მაგი რომ გაქრა ტელევიზორიდან და ვფიქრობდი, ნეტავ, ასეთი კარგი გოგო რატომ სად არის და რო გამოჩნდა შენ გენაცვალე...

ბ.ჯ. - მეც გამიხარდა ნინოს გამოჩენა ცისფერ ეკრანზე.

ქ.მ. - ჰო დედიკო, მინდა უთხრა ნინოს, რომ ნინო შენ გენაცვალე, მე რო ვარ მსხვერპლი ამ რუსეთის აგრესიის ისეთი არ ვიცი პირდაპირ ვინ უნდა იყოს მეტი.

ბ.ჯ. - უკაცრავად, დავიბენი, მოდით მომიყევით, თქვენ იძულებით გადაადგილებული ხართ? რუსეთის აგრესიის შემდეგ სახლ-კარის მიტოვება მოგიწიათ? გადარჩა დაწვას თქვენი სახლი? სად არიან ოჯახის წევრები, თქვენი ახლობლები?

ქ.მ. - არა დედიკო, მე თბილისელი ქალი ვარ და არც ლტოლვილი ვარ და ყველა ცოცხალი მყავს შენ გენაცვალე, მაგრამ ისეთი ამბავი მინდა მოგიყვეთ და ნინოს დედიკო დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მოეწონება და ისე იცის მაგ გოგომ ისტორიების მოსმენა!

ბ.ჯ. - ქალბატონო ქეთევან, მე მალე უნდა ჩავიდე, იქნებ მომიყვეთ, რაშია საქმე?

ქ.მ. - ხომ გითხარი დედიკო, უმუშევარი ვარ და მაინცადამაინც ლტოლვილი უნდა ვიყო?

ბ.ჯ. - არა, მესმის ქალბატონო, მაგრამ თქვენ თვითონ არ თქვით, რომ ნინო ქაჯაიას გადაცემაში გინდათ მოხვდეთ? რითი უნდა დაინტერესოთ თქვენ ქართველი მაყურებელი?

ქ.მ. - მე მინდა მთელ საქართველოს უთხრა, რომ მყავს სამი შვილი. სამი ვაჟკაცი გაუზარდე ჩემს სამშობლოს. არაჩვეულებრივი მეუღლე, უნივერსიტეტის პროფესორი.

ბ.ჯ. - თქვენი შვილები რუსეთის არმიასთან ბრძოლაში დაიღ...

ქ.მ. - არა დედიკო, არა, ღმერთმა კარგად ამყოფოს სამივე. ეგ რა შუაშია. მყავს ორი არაჩვეულებრივი რძალი. და მესამე ბიჭი აგერ მალე უკვე ცოლს მოიყვანს.

ბ.ჯ. - ქალბატონი ქეთევან, თქვენი რძლები ალბათ აფხაზი და ოსი ეროვნების...

ქ.მ. - სუფთა წყლის ქართველები დედიკო. ისეთი ოჯახიშვილები, ისეთი კარგი გოგოები და მესამე უნდა ნახო, რა გოგოს ირთავს. ანგელოზი პირდაპირ.

ბ.ჯ. - *(სამარშუტო ტაქსის მძღოლს)* შუქნიშანს რომ გადახვალ, გამიჩერე!

ქ.მ. - და შვილიშვილები? არაჩვეულებრივი, ღმერთმა გამიზარდოს დედიკო. ოთხი შვილიშვილი მყავს და ნეტავ ყველას მიცეს ასეთი ბედნიერება, რა ჯობია სახლში ხმაურს და ჟრიამულს და ბავშვების თამაშობას დედიკო. არ ჩახვიდე დედიკო.

ბ.ჯ. - გადავცემ ნინოს თქვენს ამბავს.

ქ.მ. - არ გაინტერესებს, რა აგრესიულად მომექცა რუსეთი?

ბ.ჯ. - მგონი, ყველაფერი დღესავით ნათელია.

ქ.მ. - დედიკო, მთავარია რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, რომ საქართველოსთვის და საქართველოსთან ერთად ვიყოთ მუდამ და მიუხედავად ბევრი გასაჭირისა, მიუხედავად სიძნელეებისა დედიკო და რუსეთის აგრესიისა დედიკო, ერთად უნდა ვიდგეთ და გვინდა თუ არ გვინდა, უნდა გავერთიანდეთ დედიკო ერთ მუშტად, რომ ჩვენ მტრებს არ მივცეთ სასიხარულო რამე და არ უნდა...

ბ.ჯ. - დიდი მადლობა, ქალბატონო ქეთევან, უნდა ჩავიდე, ჩემი გაჩერებაა.

ქ.მ. - ჩადი დედიკო და გადაეცი ნინო ქაჯაიას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დიდი **გაჭირვებისა, ცხოვრება მაინც მშვენიერია.**

ბ.ჯ. - გადავცემ.

ქ.მ. - და უთხარი რომ ძალიან მიყვაააა..რ..ს..

"ორი ბატონის მსახური" გელითი!

რუსთაველის თეატრი ბათუმის თეატრს მასპინძლობს

თამარ კიკნაველიძე

ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ ეს სტატია რუსებს არ ჩაუვარდებათ ხელში, რადგანაც ის, ნაწილობრივ, ქართველებისა და პოლონელების დამეგობრების ამბავს და მათ სამომავლო გეგმებს შეეხება.

ეს ისე, ხუმრობით. სინამდვილეში და უფრო სერიოზულად კი, საქმე თბილისში, რუსთაველის თეატრში საგასტროლოდ ჩამოსულ ბათუმის თეატრს ეხება, რომელმაც თან, ახალ სპექტაკლთან ერთად, ამ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში მომხდარი სიახლეებიც "ჩამოიტანა".

დღეს და ხვალ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრი მაყურებელს რეჟისორ გიორგი თავაძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლს, კარლო გოლდონის ორმოქმედებიან კომედიას - "ორი ბატონის მსახური" შესთავაზებს. მისი მხატვარია თემურ ნინუა, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე, მუსიკალური გამფორმებელი კი - თენგიზ შამილაძე. ამ სპექტაკლის შესახებ რუსთაველის თეატრში გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმის თეატრის მმართველმა - ზაზა ხალვაშმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა - გიორგი თავაძემ მოგვიანებით ისაუბრეს. თავდაპირველად კი, მათ ვარშავაში ახლანდელ ვიზიტზე აღნიშნეს, რამაც სამომავლოდ ამ თეატრის განვითარებაში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

ხაჩერა ჯიბლაძეს ფოტო

გიორგი თავაძე და ზაზა ხალვაში

"სულ ცოტა ხნის წინათ, ფოთში რეგიონალური თეატრების ქსელი ჩამოყალიბდა, რომლის ეგიდითაც ვარშავაში პოლონეთის კულტურის და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა მიგვიწვიეს. იქ, ჩვენთან ერთად, თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი - გოგი მარგველაშვილი, თელავის თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი - დათო მღებრიშვილი და ფოთის თეატრის მმართველი - თენგიზ ხუხიაც იმყოფებოდნენ. პოლონეთის ადამ მიცკევიჩის სახელობის თეატრის ინსტიტუტის ხელშეწყობით, რომელიც სამეცნიერო კვლევების პარალელურად საქველმოქმედო, კულტურულ და პროდიუსერულ საქმიანობასაც ეწევა, პოლონური თეატრების ფესტივალს დავესწარით და შევხვდით, დაახლოებით, ოცამდე თეატრის ხელმძღვანელს, მოვილაპარაკეთ კონკრეტული პროექტების განხორციელებაზე, რასაც ხელი საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებულმა მეგობრულმა ურთიერთობებმა შეუწყო. ვარშავაში, საგაზაფხულოდ, ქართული თეატრალური ფესტივალის ორგანიზებაზეც ალაპარაკდნენ და თუ მშვიდობა იქნა, 2009 წელი ბათუმის თეატრის ისტორიაში, შეაძლოა, "პოლონურ სეზონად" მოინათლოს", - გვითხრა ზაზა ხალვაშმა.

მმართველმა, ბათუმის თეატრის გამოცოცხლების საქმეში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თანადგომაზეც ისაუბრა. ამ თეატრის სპექტაკლების რუსთაველის თეატრში გამართვის ტრადიციასა და თბილისელი მაყურებლისთვის ამჯერად შეთავაზებულ სპექტაკლზე, უფრო დაწვრილებით, მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი თავაძემ ისაუბრა.

"ბათუმის თეატრის სამხატვრო კონსულტანტი გახლავთ ბ-ნი რობერტ სტურუა და ამიტომაც, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საჩვენებელ წარმოდგენებს სწორედ რუსთაველის თეატრში ვმართავთ. ამასთან, ეს თეატრი ჩემთვის მართლაც განსაკუთრებულია, რადგან, შეიძლება ითქვას, რომ აქ გავიზარდე, ერთ დროს ბ-ნი რობერტის რეპეტიციებზეც ვმუშაობდი და ამის გამო, რუსთაველის თეატრის სცენაზე ჩემს მიერ დადგმული სპექტაკლების წარმოდგენა, ერთგვარი, ანგარიშის ჩაბარებაა ჩემთვის. ახალ სპექტაკლს რაც შეეხება, მასში, ძირითადად, ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ, რომლებიც ბათუმის თეატრის დასში ჩემი მისვლის შემდეგ ჩაირიცხნენ. ცხადია, უფროსი თაობის მსახიობებიც გვყავს, მაგრამ სპექტაკლში მაინც ახალი თაობის წარმოჩენას შევეცადე, რადგან მიმაჩნია, რომ ახალი თაობის გარეშე დარჩენილი თეატრი წინ კუნ ნაბიჯებით წავა... თბილისში, ამ სპექტაკლთან ერთად, კიდევ ერთი წარმოდგენის, ანდრო ენუქიძის მიერ თურქი დრამატურგის - თუნჯენ ჯუჯენოღლუს პიესის მიხედვით განხორციელებული წარმოდგენის ჩამოტანასაც ვგეგმავდით, მაგრამ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ დაფინანსება შეგვიწყვიტა და ამიტომ ვეღარ შევძელით თქვენთვის გვეჩვენებინა სპექტაკლი, რომლისთვისაც რუსთაველის თეატრის მხატვარმა მირიან შველიძემ არაჩვეულებრივი სცენოგრაფია შექმნა", - აღნიშნა გიორგი თავაძემ.

სპექტაკლს - "ორი ბატონის მსახური" რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის ცნობილი იტალიელი დრამატურგის კარლო გოლდონის ეს პიესა ქართულ სცენაზე ხშირად არ განხორციელებულა. ბათუმის თეატრში ის პირველად 1944 წელს წარმოადგინეს და ისეთი მოწონებით სარგებლობდა, რომ სამჯერ აღადგინეს. გიორგი თავაძის მიერ შექმნილი დადგმის პრემიერა კი, 2008 წლის 18 ივლისს გაიმართა. სპექტაკლში მთავარ როლებს მსახიობები: ტიტე კომახიძე, მამუკა მანჯგალაძე, ეკა ჩავლეიშვილი, თეონა შამილაძე, ბიძინა მიქაუტაძე, ზურაბ ქავთარაძე, ზაალ გოგუაძე და სხვები ასრულებენ.

ამ სპექტაკლის რეჟისორისგან შევიტყვეთ, რომ მას ავტორისეული ტექსტი, თითქმის, არ შეუცვლია, მხოლოდ პიესაში გათამაშებული ისტორია მაყურებლისთვის მეტად გასაგები და დღევანდელობასთან მიახლოვებული გახადა. აღსანიშნავია, რომ "ორი ბატონის მსახურის" ახალ თარგმანზე ლილი ფოფხაძემ იმუშავა.

"ჩვენთვის ამ თეატრის გასტროლები თბილისში მართლაც დიდი სიხარული და ბედნიერებაა, რადგან ბათუმისა და რუსთაველის თეატრებს ერთმანეთთან ურთიერთობის დიდი ხნის ტრადიცია აქვთ. ამასთან, ისიც ბედნიერებაა, რომ მათი აქ ჩამოსვლით, საშუალება გვეძლევა, ადგილზე ვნახოთ ის სპექტაკლები, რომლებიც ძალიან გვაინტერესებს და რომელთა სანახავადაც ბათუმში ჩასვლას, სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებთ", - განაცხადა რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ.

გურამ ქართველიშვილის კიდევ ერთი ისტორიული ამბავი

პირველი გვერდიდან

აღნიშნული პიესა ქართველებისთვის მუდამ აქტუალურ პრობლემას - რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობას ეხება. უფრო კონკრეტულად კი, მოვლენები აქ 1819 წელს ვითარდება, როდესაც, საეკლესიო პირების ინიციატივით, დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანდება და ერმოლოვის მეთაურობით "დაგეშილი" მტრის წინააღმდეგ ილაშქრებს. სპექტაკლში მცირერიცხოვანი ქართველების ტრაგედია, ძირითადად, იაშვილების ერთი ოჯახის მაგალითზეა ნაჩვენები. რუსებთან უსამართლო ბრძოლას ხოსია იაშვილის საამაყო შთამომავლები - სამი შვილიშვილი, მთელი საგვარეულო და მრავალი ქართველი ეწირება. ერთადერთ იმედად კი, ხოსიას სიკვდილს გადარჩენილი შვილთაშვილი - სოლომონი რჩება, რომელსაც ბაბუამ უპირველესად სამშობლოს სიყვარული და "ვეფხისტყაოსანი" შეასწავლა.



ხატია ჯიკურიშვილის ფოტო

აკაკი ხიდაშელი – სცენა სპექტაკლიდან

ორმოქმედებიანი წარმოდგენა, დაახლოებით, ოთხ საათს გრძელდება. მაყურებელთაგან რამდენიმეს თვალზე ცრემლი მოადგა. თუმცა, იმის შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, რომ მსახიობების უმთავრეს ამოცანას უზარმაზარი ტექსტის დამახსოვრება და გათავისება წარმოადგენდა. მათ შორის, ყველაზე საინტერესო სახე აკაკი ხიდაშელმა შექმნა. მასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ლეო ანთაძე (დოსეთეოზი), გია ჯაფარიძე (კათოლოკოსი), ალეკო ალავიძე (ვასილი ვსევოლოდი), ნუგზარ ყურაშვილი (ერმოლოვი) და სხვები. წარმოდგენის სცენოგრაფია აივენგო ჭელიძეს ეკუთვნის, ხოლო მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძეს.

"ამ აჯანყებას სისხლად ამოვადენ ქართველებს, მაგრამ, მთავარია, ჩვენგან არ გავარდეს პირველი ტყვია!, " - ისმის სცენიდან და რწმუნდები, რომ ის, რაც ახლახანს, აგვისტოში დაგვატყდა თავს ნაცადი ხერხია, რომელსაც თავი საუკუნეების შემდეგაც ვერ დავაღწიეთ.

ქართული დამწერლობა - გასაგები ყველასთვის

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ქართული ენციკლოპედიის ახალი გამოცემა

სოფო კილასონია

ქართულმა საგამომცემლო საქმემ გუშინ კიდევ ერთი წარმატებული პროექტი დასრულა. "თიბისი" ბანკის საგამოფენო დარბაზში საზოგადოებას ერთი პატარა და მაინც უნიკალური წიგნის არსებობა ამცნეს. "ქართული დამწერლობა" - ქართული ენციკლოპედიის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ძალთა გაერთიანებით შეიქმნა და გამოიცა.



2008 წლიდან ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი რედაქცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ერთეული გახდა. ამ თანამშრომლობის შედეგად სახეზეა ორი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცემა. პირველი - "ქართული ენა" ლელა ქობალავას ავტორობით. მის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან და სხვა საინფორმაციო წყაროებიდან მკითხველს ალბათ მოეხსენება. და მეორე - "ქართული დამწერლობა", რომლის ავტორიცაა მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი ქალბატონი ელენე მაჭავარიანი.

"ქართული დამწერლობა" პირველისგან განსხვავებით, ბევრად პოპულარულ ენაზეა დაწერილი. პრეზენტაციაზე ბატონმა ზურაბ აბაშიძემ ისიც განაცხადა, რომ ეს წიგნი მოზარდთათვისაც საინტერესო, გასაგები იქნება და მას ამაში აუცილებლად ვეთანხმებით მას შემდეგ, რაც პირველი გვერდები წავიკითხეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამომწურავად გვაცნობს ქართული დამწერლობის ისტორიას, წარმომავლობის საკითხებს, სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებებს, ასომთავრულის, ნუსხურის, მხედრულის ჩამოყალიბების გზასა და საერთო თუ განმასხვავებელ ნიშნებს, ამ ყველაფერს ისე ახერხებს რომ რიგითი, მოუმზადებელი მკითხველი დეტალებსა და წვრილმანებში არ იკარგება. წიგნი რომელიც გამომცემლობამ "არეტე" გამოსცა, თურმე ჩანაფიქრად დარჩებოდა, რომ არა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და პირადად ბატონი თამაზ გამყრელიძის ინიციატივა, დახმარება...

ზურაბ აბაშიძე: "მას შემდეგ, რაც თამაზ გამყრელიძემ გამოიჩინა კეთილი ნება დახმარებოდა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციას, ჩვენ ერთობლივად გამოვეცით ორი მნიშვნელოვანი წიგნი. აკადემია დაგვეხმარა ყველანაირად. შენობაში ერთი სართულიც კი დაგვითმო. ამ წიგნებზე (იგ. "ქართული ენა" და "ქართული დამწერლობა") წლების განმავლობაში ვფიქრობდით და ვმუშაობდით, მაგრამ მათი გამოცემა მხოლოდ ახლა მოხერხდა. პირველის გამოცემაში დიდი წვლილი შეიტანა "თიბისი" ბანკმა, ასევე მადლობას ვუხდი ბატონ თემურ ჭიჭინაძეს. რაც შეეხება "ქართულ დამწერლობას", ფინანსური მხარდაჭერა გაგვიწია "ჯეოსელმა", მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჯგუფი "ქართუ" ჩვენი ერთგული პარტნიორია."

ქალბატონი ელენე მაჭავარიანი წიგნის პრეზენტაციაზე იგონებდა, რომ ღმერთების ენა, ენა იბერის მისთვის სათაყვანებელი მას შემდეგ გახდა, რაც ცხოვრების გზაზე რენე შმერლინგსა და ილია აბულაძეს შეხვდა. რენე შმერლინგმა მას ქართული ანბანი როგორც მოხატულობა, გრაფიკული არტეფაქტი ისე დაანახა, ხოლო ილია აბულაძემ დამწერლობის არსსა და ისტორიის წიაღში ჩაახედა. აქვე უნდა აღვნიშნო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ელენე მაჭავარიანს ეკუთვნის ახალი გამოცემის არა მხოლოდ ტექსტი, არამედ ყველა გრაფიკული ნამუშევარი, მაგალითებად მოტანილი დამწერლობის სურათები და მორთულობანი.

ახალი გამოცემა ინფორმაციასა და ცოდნას მკითხველს მხოლოდ ტექსტებით როდი გადასცემს. წიგნი საინტერესოა ვიზუალური ნიშნითაც. აქ წარმოდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერები, მინიატურები, სხვადასხვა ნიმუშები.

მას შემდეგ, რაც ქართული ენციკლოპედიის ხელმძღვანელად ბატონი ზურაბ აბაშიძე დაინიშნა, სრულიად უმტკივნეულო შიდა ცვლილებების ფონზე მოხერხდა ამ ინსტიტუციის "გაცოცხლება". დღეს ქართული ენციკლოპედია გაერთიანებაა, რომელიც ინტელექტუალურ შესაძლებლობათა მომართვას ცდილობს იმ პროდუქციის შესაქმნელად, რომელიც ჰაერივით სჭირდება ეროვნულ კულტურას და რომელსაც არ შექმნის არც ერთი კერძო გამომცემლობა თუ ინსტიტუცია, რომელიც კომერციული პროექტებით საზრდოობს და სხვათაშორის, რომლებსაც ბევრად მეტი მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოს მხრიდან. ალბათ ამასვე ემსახურება გ.ჩუბინაშვილის სახელობის კვლევის ცენტრი, რომლის ახალ გამოცემებზეც რამდენიმე დღის წინ ვისაუბრეთ და საერთოდ, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია, რომლის ინტელექტუალურ ბაზას ეფუძნება როგორც ერთი, ისე მეორე ზემოთ აღნიშნული ინსტიტუცია და რომელიც, რაც არ უნდა საოცარი იყოს, სულ უახლოეს წარსულში "ახალ" საქართველოში გადარჩენისთვის, არსებობისთვის იბრძოდა.

თოჯინების მუზეუმში სიახლეა

ეკა ჩიკვაიძე

თინათინ თუმანიშვილის სახელობის თბილისის თოჯინების მუზეუმში სუვენირების სალონი გაიხსნა. სალონის გახსნის იდეა დიდი ხანია არსებობდა და მრავალმხრივი მცდელობის შემდეგ მისი დაარსებაც მოხერხდა. მუზეუმის ხელმძღვანელობის მეშვეობით პროფესიონალი მეთოჯინეების შეკრება მოხდა, რომელთა მიერ შექმნილი ნამუშევრები გუშინ, სალონის გახსნაზე გამართულ გამოფენა-გაყიდვაზე იყო წარმოდგენილი. გამოფენილი იყო საახალწლო თემაზე შექმნილი თანამედროვე ქართველი მეთოჯინეების სუვენირული და მხატვრული თოჯინები, ცნობილი ოსტატების მიერ ნატურალურ აბრეშუმზე შესრულებული უნატიფესი მხატვრული ტექსტილი, გამოყენებითი, ფოტო და დეკორატიული ხელოვნების სხვა ნიმუშები. წარმოდგენილი იყო ასევე, მუზეუმის ახლად გახსნილ სახელოსნოში გაკეთებული ტიხრული მინანქრის ულამაზესი ნაკეთობები.

თოჯინების მუზეუმში შესაძლებელია მყიდველის სურვილის მიხედვით ნებისმიერი საიუველირო ნივთის თუ ნაკეთობის დამზადება, ტარდება ტიხრული მინანქრის ხელოვნების გაკვეთილები, რომლის კურსის დამთავრების შემდეგაც გაიცემა სერთიფიკატი. მუზეუმის ორგანიზებით ტარდება ასევე ხელოვნების გაკვეთილები, რომელსაც სპეციალურად მოწვეული მხატვარი გიორგი ჯაფარიძე ატარებს. მისი მეთოდი ხელოვნების თერაპიის საფუძველზეა დაფუძნებული და ითვალისწინებს ნებისმიერი ასაკის, ხასიათისა და ტემპერამენტის ბავშვისა და მოზარდის ინდივიდუალობას. სწავლება აგებულია როგორც ფერით, ასევე მოცულობით სავარჯიშოებზე (ძერწვა ნატურალური თიხით), ხელოვნების ისტორიის ნიმუშების პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით განხილვის მეთოდზე. პრობლემური ჯანმრთელობის მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური თერაპიული კურსი, რომლის დროსაც გამოიყენება ბუნებრივი მასალები, როგორიცაა ხე, ქვა და ა.შ. თოჯინების თეატრი ორი საათის განმავლობაში დამთავალიერებელს თოჯინების ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობასაც სთავაზობს. წინასწარ შემუშავებული საინტერესო, აქტიური და მრავალფეროვანი პროგრამა საშუალებას იძლევა, დამთვალიერებელს მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და ზოგადად თოჯინის ისტორია გააცნოს, ამის შემდეგ მსურველებს საშუალება ეძლევათ თავად შექმნან ოცნების თოჯინა.

თოჯინების მუზეუმის სალონში წარმოდგენილ ნამუშევრებს ნელ-ნელა ახალი ნაკეთობები დაემატება და მათი გაყიდვიდან შემოსული თანხა, მუზეუმის რესტავრაციასა და ახალი ექსპონატების შეძენას მოხმარდება. "ჩვენი მუზეუმის ნებისმიერ დამთვალიერებელს შეეძლება, შემოვიდეს სამხატვრო სალონში, დაათვალიეროს ჩვენთან წარმოდგენილი ნიმუშები და სურვილის შემთხვევაში შეიძინოს ხელნაკეთი ნიმუში. სამხატვრო სალონიდან შემოსული თანხა თოჯინების მუზეუმის განვითარებისათვის დაიხარჯება" - განაცხადა თბილისის თოჯინების მუზეუმის დირექტორმა ნანა ოქრუაშვილმა.

მუზეუმს ამჟამად ბევრი სიახლე აქვს, მის საგამოფენო დარბაზში იმართება გამოფენა, სახელწოდებით - "მსოფლიო პეპლები", სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შეგროვებული პეპლები და ქვეწარმავლებია წარმოდგენილი. მუზეუმმა ახალი ექსპოზიციაც შეიძინა, რომლის ხილვის საშუალებაც მსურველებს მუზეუმში არსებულ ჯადოსნური თოჯინების სამყაროში შეუძლიათ.

"მას შემდეგ, რაც გაგვქურდეს და მუზეუმიდან უამრავი ექსპონატი დაიკარგა, ძალიან მიხარია, რომ გავფართოვდით და გვაქვს საშუალება იმისა, რომ სალონიც გავხსნათ და კიდევ ბევრი ახალი იდეა განვახორციელოთ", - მუზეუმის მხატვარი დალი ჭუბაბრია.

თბილისის თოჯინების მუზეუმი 1937 წელს საბავშვო მწერლისა და პედაგოგის თინათინ თუმანიშვილის თაოსნობით დაარსდა. მუზეუმს საფუძვლად დაედო მისი დამფუძნებლის თოჯინებისა და სათამაშოების კოლექცია, ბიბლიოთეკა და საგვარეულო ნივთები, რომელიც სახელმწიფოს მან უსასყიდლოდ გადასცა. წლების განმავლობაში მუზეუმის ფონდებში თავი მოიყარა 2000-ზე მეტმა უნიკალურმა ექსპონატმა: ქართულმა ხალხურმა და მხატვრულმა დედოფალამ, სათამაშომ, მოძრავ-მუსიკალურმა სათამაშოებმა, ლიტერატურული პერსონაჟების მიხედვით შექმნილმა თოჯინებმა და ა.შ.

20 დეკემბერი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
ბათუმის თეატრის გასტროლი
"ორი ბატონის მსახური"
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"თოლია"
რეჟისორი მიხეილ კოზაკოვი
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
თითების თეატრის დასი
"კედელი"
დასაწყისი: 20.00

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი
"ჰარალეთი, ჰარალეთი"
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
"ლიფტიორი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

მუსიკისა და დრამის თეატრი
"მერი პოპინსი"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი
"5 დღე უმუშევარი მსახიობების ცხოვრებიდან"
დასაწყისი: 19.00

თეატრი ათონელზე
"დარაბებს მიღმა გაზაფხულია"
დასაწყისი: 19.00

თეატრი ათონელზე
"ფიფქია"
ასაწყისი: 19.00

კინო

"რუსთაველი"
"დღე, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"ჯეიმს ბონდი: შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.45; 19.45; 21.45
"მძევალი"
დასაწყისი: 12.15; 14.14; 16.15; 18.15; 20.15; 22.15
"მედიატორი"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 15.00; 19.00; 21.00
"ქართული იდეა"
დასაწყისი: 12.00; 13.00
"მაქს ჰეინი"
დასაწყისი: 17.00
"უოლი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00

"ამირანი"
"დღე, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"მედიატორი"
დასაწყისი: 16.00; 22.00
"წაიკითხე და გაანადგურე"
დასაწყისი: 20.00
"უოლი"
დასაწყისი: 12.00; 14.00 18.00

გალერეა

"ქარვასლა"
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია - "ფრანგული პეიზაჟი"

N გალერეა
საშობაო გამოფენა: სანდრო ანთაძე, მაკა ბატიაშვილი, თიკა ჩხიკვიშვილი, გიორგი აბუაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე და ქეთევან დავლიანიძე

"ჰობი"
"იუბილარები" - საშობაო გამოფენა, ფერწერა

"ვერნისაჟი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

"შარდენი"
თანამედროვე ტიხრული მინანქრის გამოფენა
სამკაული, მინიატურა, ხატი,

"ორნამენტი"
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

"აკადემია +"
მხატვრული მინის გამოფენა

გელათის სამონასტრო კომპლექსში უნიკალური ნივთები აღმოაჩინეს

გელათის სამონასტრო კომპლექსში არქეოლოგიური გათხრები დასრულდა, რომლის დროსაც უნიკალური ნივთები აღმოაჩინეს. გათხრების დროს სამფუთიან ქვევრს, გელათის აკადემიის მსმენელთა ქვის მერხებსა და სამეფო მაგიდას მიაკვლიეს.

აკადემია გელათში მე-16 საუკუნემდე არსებობდა, შემდეგ კი შენობა მეფეთა სატრაპეზოდ გადაკეთდა. არქეოლოგიური კვლევები კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის ფრაგლებში აკადემიის საბოლოო აღდგენაც იგეგმება.

ამჟამად განათლების უნიკალური ცენტრი ხარაჩოებშია. სპეციალისტები იმერეთის სხვადასხვა ადგილზე ძველ კრამიტს აგროვებენ, რომლის საშუალებითაც შენობა გადაიხურება. გელათში სამუშაოები საპატრიარქოსთან თანამშრომლობით ტარდება. **ინტერპრესნიუსი**

ბათუმის თეატრი თბილისში გასტროლებს მართავს

ბათუმის თეატრი რუსთაველის თეატრში გასტროლებს მართავს. ამის შესახებ რუსთაველის თეატრში გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმის თეატრის მმართველმა ზაზა ხალვაშმა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი თავაძემ განაცხადეს.

ზაზა ხალვაშის თქმით, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 20-21 დეკემბერს რუსთაველის თეატრში გოლდონის ორ მოქმედებიან კომედიას - "ორი ბატონის მსახური" წარმოადგენს. სპექტაკლის რეჟისორია გიორგი თავაძე, მხატვარი თემურ ნინუა, ქორეოგრაფი კოტე ფურცელაძე, მუსიკალური გააფორმება კი თენგიზ შამილაძეს ეკუთვნის. "ორი ბატონის მსახურის" პრემიერა ბათუმში, 2008 წლის 18 ივლისს შედგა. ამ სპექტაკლით 2009 წლიდან ბათუმის თეატრი ევროპაში საგასტროლო ტურნეს გეგმავს.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ თბილისელი მაყურებლისთვის უკვე კარაგდ ცნობილი მსახიობები: ტიტე კომახიძე, მამუკა მანჯგალაძე, ეკა ჩავლეიშვილი, თეონა შამილაძე, ბიძინა მიქაუტაძე, ზურაბ ქავთარაძე და ზაალ გოგუაძე. **ინტერპრესნიუსი**

ლეონარდო და ვინჩის მიერ შესრულებული სამი ესკიზია აღმოჩენილი

ლუვრის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ჩანახატები, რომლებიც შესაძლოა უდიდესი იტალიელი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის ფუნჯს ეკუთვნოდეს. მუზეუმის ოფიციალური განცხადების თანახმად, აქამდე ყველასათვის უცნობი ესკიზები ლუვრში, ნამუშევრების ლაბორატორიული შემოწმების დროს, იტალიელი ოსტატის ცნობილი ნამუშევრის " მადონა და ახალშობილი წმინდა ანასთან ერთად" უკანა მხარეს, აღმოაჩინეს.

განცხადების თანახმად, როდესაც ზეთის საღებავით ხეზე შესრულებული ნამუშევარი მოხსნეს, ერთ-ერთი დეპარტამენტის კურატორმა ნახატის მეორე მხარეს ორი ძლივს შესამჩნები ესკიზი აღმოაჩინა. ის ცხენის თავსა და თავის ქალის ნაწილს ასახავს. ამის შემდეგ, ნახატი "მადონა და ახალშობილი წმინდა ანასთან ერთად" გადაიგზავნა შემდგომ ექსპერტიზაზე, რომლის დროსაც აღმოჩენილ იქნა მესამე ესკიზიც, რომელზეც ყრმა იესო და კრავი არის გამოსახული.

მკვლევარებმა ზემოხსენებულ აღმოჩენას უკვე უწოდეს გასაოცარი მიგნება. შეუიარაღებელი თვალით ჩანახატების აღმოჩენა თითქმის შეუძლებელია, ამიტომაც მათი არსებობა აქამდე ყველასათვის უცნობი იყო.

ამ დროისათვის, ლუვრის სპეციალისტები აგრძელებენ უდიდესი მხატვრის მიერ სურათის მეორე მხარეს შესრულებული ესკიზების შესწავლას. **მედიანიუსი**

ᲫᲕᲔᲚᲛᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ

22-23-24 დეკემბერი - "არსის" საგამოფენო დარბაზი

სოფო კილასონია

ორშაბათს საღამოს "არსის" საგამოფენო დარბაზი და სახელოვნებო გაერთიანება "არქიდრომი" გოგა ჯაფარიძის გამოფენას წარმოადგენს. "ტექსტებზე აგებული სურათები ბაზელის ძველმანების ბაზრობაზე ნაპოვნი წიგნიდან" - სათაური თხრობითია, მაგრამ ბევრი უცნობით. მაგრამ თუ მივალთ, მაშინ ჯერ ექსპოზიციიდან, შემდეგ კი მხატვრის მონოლოგიდან, რომელიც დაგეგმილია, ყველაფერს გავიგებთ. მონოლოგს რაც შეეხება, "არსში" მხატვრების მონოლოგები უკვე ჩვეული ამბავია, ეს სამშენებლო კომპანია ხომ მთელი 2008 წლის განმავლობაში "არქიდრომის" მასპინძელია.

გამოფენა წარმოადგენს დიდი ფორმატის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, რომლებიც ობიექტების სახით იქნება დამონტაჟებული სივრცეში. ამ ნამუშევრებით მხატვარი აკვირდება ადამიანს - მისი ანთროპოლოგიდან, მისივე მორალურ ფიზიოლოგიამდე.

გოგა ჯაფარიძისთვის ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე საინტერესო სოციალური ხელოვნებაა. მას განხორციელებული აქვს პროექტები და გამოფენები საქართველოსა და შვეიცარიაში. ასევე მუშაობს არტთერაპიის განხრით.

2008 წელი გოგა ჯაფარიძისთვის დატვირთული აღმოჩნდა თბილისში განხორციელებული გამოფენების თავლსაზრისით. არსში წარმოდგენილი გამოფენა უკვე მესამეა. მანამდე ა.წ. აპრილში შედგა მისი პერსონალური გამოფენა-ვორკშოპი "კარი" (შარდენის 19), ხოლო ერთი თვის წინ "ქართლი", მხატვრებთან: კახა დემურაძესა და გიორგი აბციაურთან თანამშრომლობით ("აკადემია+").



გოგა ჯაფარიძის ნამუშევარი

"ტექსტებზე აგებული სურათები..." მათგან რადიკალურად განსხვავებული გამოფენაა, ერთგვარი თავმოყრაა ჯაფარიძის სააზროვნო თემებისა. თემები, რომელბიც აერთიანებს ფილოსოფიურ, ექზისტენციალურ და ძალიან სოციალურ საკითხებს და კითხვებს. ყველა ამ კითხვაზე პასუხს მხატვარი ადამიანში ეძებს. ადამიანიში - მის გონში, ზნეობაში, სხეულში, შინაგან ორგანოებში.

ექსპოზიცია ახალი რეალობის წინაშე გვაყენებს, აღმოგვაჩენინებს იმას, რომ რაციონალური საწყისი ანთროპოლოგიურ საზღვრებთან, ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული და პირიქით.

გამოფენის გახსნასთან ერთად "არქიდრომი" წარმოგიდგენთ გოგა ჯაფარიძის პორტფოლიოს - აქამდე განხორციელებული პროექტებისა და ნამუშევრების პრეზენტაციას ფოტო პროექციით, ვიდეო ფილმებით და მხატვრის მონოლოგით.

"არქიდრომი" 2008 წლიდან "ჯეო-ეარის" (არასამთავრობო, არაკომერციული, იურიდიული პირი) ბაზაზე შეიქმნა, როგორც საინიციატივო ჯგუფის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ხელოვნების არქივის შექმნას.

"არქიდრომის" ჯგუფის მიზანია შეიქმნას თანამედროვე ქართული ვიზუალური ხელოვნების საინფორმაციო ბაზა. ასევე, ადგილობრივი და უცხოელი ხელოვანებისათვის, მკვლევარებისათვისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის - სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ინფორმაციის მიღება. "არქიდრომი" ქმნის საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო პლატფორმას ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერი დარგის პირისთვის.

მიმდინარე წელს გაერთიანებამ "არქიდრომი" რამდენიმე ქართველი მხატვრის პორთფოლიოს პრეზენტაცია და გამოფენა გამართა. 22 დეკემბერს თანამედროვე ხელოვნების არქივი, რომელიც ენთუზიასტებს აერთიანებს და მაიცნ ქმედითუნარიანია, ერთი წლის გახდება.

ᲙᲐᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲝᲣᲒᲘ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲓᲢᲠᲔᲙᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲡ

ავსტრალიელი პოპ-მომღერალი კაილი მინოუგი ინდური ფილმის Blue-ს საუნდტრეკის შექმნაში მიიღებს მონაწილეობას. ფილმში მუსიკალურ აკომპანიმენტზე მუშაობისთვის, მინოუგი მილიონ დოლარს მიიღებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომღერალი, რომლის უკანასკნელი ალბომი - X, პრემია "გრემზე" იქნა ნომინირებული, ინდოეთში სიმღერის ჩასაწერად იანვარში გაემგზავრება. თავად კაილი მინოუგმაც დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რეჟისორთან აპირებს თანამშრომლობას. ფილმის შემქმნელის ვინაობა, ჯერჯერობით არ სახელდება. ბოლივუდური ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით 28 მილიონ დოლარს შეადგენს. როგორც ცნობილია, ფილმზე მომუშავე ჯგუფმა საუნდტრეკის ჩაწერაში მონაწილეობის მიღება ამერიკელ მომღერლებს - მადონასა და რიანასაც შესთავაზა. მადონამ შეთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა, რის მიზეზადაც უამრავი საქმე დაასახელა, რაც საკუთარ მეუღლე გაი რიჩთან დაშორების ოფიციალურ გაფორმებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება რიანას, მუსიკალურ აკომპანიმენტზე მუშაობაში მონაწილეობისთვის, მან ზედმეტად დიდი ჰონორარი მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ კაილი მინოუგის ახალი ალბომის გამოშვება, სახელწოდებით Boombox-ი, 2009 წლის 5 იანვარს არის დაგეგმილი. დისკში მინოუგის სიმღერებზე გაკეთებული 16 რემიქსი იქნება შესული. მათ შორის იქნება, მომღერლის 2001 წელს გამოშვებული ჰიტის Can't Get You Out Of My Head-სა და ჯგუფ New Order-ის სიმღერის Blue Monday-ს გარემიქსებული ვარიანტები. ამ სიმღერების თემაზე გაკეთებული ვარიაცია, კაილი მინოუგმა 2002 წელს ლონდონში, პრემია Brit Awards-ის დაჯილდოვების ცერემონიალზე შეასრულა. დისკში შესული იქნება ასევე Chemical Brothers-ის, Fischerspooner-ის Mylo-ს LA Riots-ისა და სხვათა რემიქსები.

თავისი კარიერის განმავლობაში კაილი მინოუგმა სულ რვა სტუდიური ალბომი და რამდენიმე კრებული გამოუშვა. Boombox-ის გარდა მას კიდევ სხვა რემიქსების ალბომები აქვს გამოშვებული. მიმდინარე წლის ივნისში კაილი მინოუგმა მუსიკალური მიღწევებისთვის ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიიღო. ბუკინგემის სასახლეში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე, საპატიო ჯილდო მინოუგს პრინცმა ჩარლზმა გადასცა. ეს ჯილდო მინოუგისთვის პირველი არ არის, მან გასულ წელსაც მიიღო დიდი ბრიტანეთის იმპერიის ორდენი, რომელიც მომღერალს ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ მიანიჭა. ავსტრალიელი მომღერალი საფრანგეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენითაც არის დაჯილდოებული.

პარტნიორთა კრების 2008 წლის 29 ნოემბრის დადგენილების (ოქმი №3) საფუძველზე, ვაცხადებთ, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, დაწყებულია შპს პირიმზეს ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ფალიაშვილისა და კოლუმბია მისურის ქ. №35/1 (ყოფილი ფალიაშვილის ქ. №35).

ტელეფონი: 8 231 4-47-85, მობ. 899 980-713.

შპს პირიმზეს ლიკვიდატორი:
შოთა თვარაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ მრავალწლიან ტენდერში ქ. ქუთაისში იუსტიციის სახლის შენობის პირველი სართულის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ სპეცმშენი 99“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ.№3, აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეალიზების თაობაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი N1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დ. აგარაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, 200 კვ.მ. საწყისი ფასი 210 ლარი;

ლოტი N2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დ. აგარაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, 100 კვ.მ. საწყისი ფასი 105 ლარი;

ლოტი N3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სოფ. ახალსოფელში, 60 კვ.მ. საწყისი ფასი 70 ლარი;

ყველა ლოტზე ბიჯის მინიმალური ღირებულებაა 50 ლარი.

აუქციონი შედგება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, განცხადების გამოქვეყნების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, 12.00 საათზე.

მისამართი: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ.№3, ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

Გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2008 წლის 18 ოქტომბერს №232 გაზეთში 24 საათი გამოქვეყნებულ ორეტაპიან ტენდერში სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ქ. დუშეთში, 100-ადგილიანი კვების ბლოკით ასაშენებელი სასტუმროს საპროექტო მომსახურეობის შესყიდვაზე გამოვლინდა გამარჯვებული - შპს არქიტექტურული ჯგუფი ა+1 და გაფორმდა №4/19 ხელშეკრულება 02.12.2008 წ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2009 წლის 5 იანვარს, 14 საათზე, ჭიათურა, ბარათაშვილის ქ. №46-ში ტარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოდის შპს მეტალოინვესტის ქონება: 9 ტონა 22 მმ არმატურა, რომლის საწყისი გასაყიდი ღირებულება განისაზღვრება შპს მეტალოინვესტის დავალიანების შესაბამისად და შეადგენს 63446,71 ლარს. განცხადებები მიიღება 2008 წლის 5 იანვრის 13 საათამდე. მონაწილეობის მისაღები საგარანტიო თანხაა ქონების საერთო ღირებულების 2%.

შპს მეტალოინვესტის
გაკოტრების მმართველი:
ტარიელ შარაბიძე

სპორტი

მოურინიოს ქეცბაიას ცოდვამ უწია

ის, რომ გუშინ, ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშების პლეი-ოფის წილისყრის დროს, ჩვენ არ ველოდით, თუ ვის არგუნებდა ბედად წილისყრა კვიპროსულ "ანორთოსისს" და თემურ ქეცბაიას, მეტწილად ჟოზე მოურინიოსა და მისი "ინტერის" "დამსახურებაა".

"ანორთოსისმა" ჯგუფურ ეტაპზე კარგად ითამაშა და მხოლოდ იმაში არ გაუმართლა, რომ "ინტერს" ადრე შეხვდა და არა ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩებში, რომლებზეც მოურინიომ რატომღაც ხელი ჩაიქნია. შეგახსენებთ, რომ "ნერაძურიმ" პლეი-ოფში თამაშის უფლება ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა და ბოლო ორი მატჩი აშკარად "ჩაუშვა". მოურინიომ თქვა: ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ჯგუფში პირველ ადგილზე გავალ თუ მეორეზეო და ჯერ "სან სიროზე", "პანათინაიკოსთან" წააგო, შემდეგ კი - ბრემენში, "ვერდერთან" და მოკრძალებული კვიპროსული გუნდი ევროპულ ტურნირებს მიღმა დატოვა.

ჩემპიონთა ლიგაზე გუნდები დაწყვილდნენ

გუშინ გაიმართა ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფების წილისყრა. "ინტერის" ჯგუფში პირველ ადგილზე გასულ "პანათინაიკოსს" "ვილიარეალთან" მოუწევს თამაში, "ინტერი" კი "მანჩესტერს" დაუპირისპირდება. ფერგიუსონის გუნდმა სწორედ "ვილიარეალი" დატოვა ჯგუფში მეორე ადგილზე. ვფიქრობთ, განსხვავება თვალშისაცემია და ვისთან სჯობს პლეი-ოფის ამ ეტაპზე თამაში, გულშემატკივარმა კარგად იცის. ასეა თუ ისე, ჟოზე მოურინიოს "ინტერი" "მანჩესტერს" ხვდება. თანაც მანკუნიანელებს განმეორებითი მატჩი "ოლდ ტრაფორდზე" აქვთ გასამართი, რაც მათ მცირე უპირატესობასაც აძლევს.

"ინტერისა" და "მანჩესტერის" წყვილი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს, თუმცა არანაკლებ დაძაბული უნდა იყოს "იუვენტუსისა" და "ჩელსის" შეხვედრაც. ბოლოს და ბოლოს, "არისტოკრატიული" კლუბიდან გამოგდებული კლაუდიო რანიერი ახლა ხომ "ბებერ ქალბატონს" უდგას სათავეში.

გამორჩეული იქნება "რეალისა" და "ლივერპულის" მატჩიც. ფრანგულ "ლიონს" "ბარსელონასთან" მოუწევს გამოცდის ჩაბარება. ჩემპიონთა ლიგის ფინალზე მეოცნებე "რომა" არსენ ვენგერის "არსენალს" უპირისპირდება. ამ ხუთი წყვილის ფონზე ჩრდილში მოექცევა "ატლეტიკო" - "პორტოს", "სპორტინგი" - "ბაიერნისა" და "პანათინაიკოს" - "ვილიარეალის" თამაშები.

ჩემპიონთა ლიგა. პლეი-ოფის პირველი წრე

ჩელსი - იუვენტუსი
ვილიარეალი - პანათინაიკოსი
სპორტინგი - ბაიერნი
ატლეტიკო - პორტო
ლიონი - ბარსელონა
რეალი - ლივერპული
არსენალი - რომა
ინტერი - მანჩესტერი

პირველი მატჩები გაიმართება 24-25 თებერვალს, განმეორებითი - 10-11 მარტს

გუშინვე გაიმართა უეფას თასის გათამაშების პლეი-ოფის პირველი და მეორე რაუნდების წილისყრაც

პირველი რაუნდი

1. პსჟ - ვოლფსბურგი
2. კოპენჰაგენი - სიტი
3. ნაიმეგენი - ჰამბურგი
4. სამპდორია - მეტალისტი
5. ბრაგა - სტანდარდი
6. ასტონ ვილა - ცსკა
7. ლეხი - უდინეზე
8. ოლიმპიაკოსი - სტ.ეტიენი
9. ფიორენტინა - აიაქსი
10. ოლბორგი - დეპორტივო
11. ვერდერი - მილანი
12. ბორდო - გალათასარაი
13. დინამო - ვალენსია
14. ზენიტი - შტუტგარტი
15. მარსელი - ტვენტე
16. შახტარი - ტოტენჰემი

პირველი მატჩები გაიმართება 18-19 თებერვალს, განმეორებითი - 26 თებერვალს

მეორე რაუნდი

მე-11 წყვილის გამარჯვებული - მე-8 წყვილის გამარჯვებული

მე-6 წყვილის გამარჯვებული - მე-16 წყვილის გამარჯვებული

მე-7 წყვილის გამარჯვებული - მე-14 წყვილის გამარჯვებული

პირველი წყვილის გამარჯვებული - მე-5 წყვილის გამარჯვებული

მე-13 წყვილის გამარჯვებული - მე-4 წყვილის გამარჯვებული

მე-2 წყვილის გამარჯვებული - მე-10 წყვილის გამარჯვებული

მე-15 წყვილის გამარჯვებული - მე-9 წყვილის გამარჯვებული

მე-3 წყვილის გამარჯვებული - მე-12 წყვილის გამარჯვებული

პირველი მატჩები გაიმართება 12 მარტს, განმეორებითი - 18-19 მარტს

ტურის ცენტრალური მატჩი გადაიდო

საქართველოს XX ეროვნული ჩემპიონატის XVI ტურის ცენტრალური მატჩი თბილისის "დინამოსა" და ზესტაფონის "ზესტაფონს" შორის, რომელიც დღეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო, სათამაშო მინდორზე დიდთოვლობის გამო აღარ გაიმართება. როგორც პროფესიული ფეხბურთის ლიგის განცხადებაშია ნათქვამი, ეროვნული სტადიონის საფარი პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა და ლიგის საშეჯიბრო სამსახურის უფროსმა ნოდარ კაკულიამ მოინახულეს. მათ ჩათვალეს, რომ ამ საფარზე მატჩის გამართვა შეუძლებელია.

"თოვლის საფარის სიმაღლე 15-16 სანტიმეტრია, ამასთან, საფარის ძირი მოყინულია, რაც შეუძლებელს ხდის მის გაწმენდას. ამინდის პროგნოზის მიხედვით, 20 დეკემბერს მოსალოდნელია თოვლი. ეს კი მატჩის გამართვას შეუძლებელს ხდის", - ნათქვამია განცხადებაში. "დინამო"-"ზესტაფონის მატჩის ზუსტი თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

შერმადინის ევროლიგური დებიუტი

საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატში დებიუტის შემდეგ ათენის "პანათინაიკოსის" ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ევროლიგის გათამაშებაშიც გამოჩნდა. 19 წლის შერმადინმა ფრანგულ "ნანსისთან" მოგებულ (83:69) მატჩში 10 წუთს ითამაშა და მასპინძლებს 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება შეაწია. ქართველი კალათბურთელი თამაშში პირველივე მეოთხედიდან ჩაერთო და 2 საჯარიმოდან 1 გამოიყენა, თუმცა, 3 ორქულიანიდან და 1 სამქულიანიდან ყველა ააცილა.

ათენელთა რიგებში საუკეთესო პერპეროღლუმ 16 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, ცარცარისმა კი 11 ქულას 7 მოხსნა წაამატა. "პანათინაიკოსს" 8-დან 6 მატჩი აქვს მოგებული და B ჯგუფში მე-3 ადგილზეა. ბერძნულ კლუბს შემდეგ ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვს. მომავალი წლის 8 იანვარს შერმადინის გუნდი იტალიურ "სიენას" ესტუმრება.

ქართულმა დუეტმა "ანჟი" დატოვა

მახაჩყალის "ანჟი" ქართველმა ლეგიონერებმა - ფორვარდმა მიხეილ აშვეთიამ და მცველმა ვალერი აბრამიძემ დატოვეს, ხოლო კლუბის ხელმძღვანელობამ თავდამსხმელი რევაზ ბარაბაძე ტრანსფერზე დაყენა. აშვეთიას და აბრამიძეს კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდათ და მახაჩყალაში დარჩენა აღარ ისურვეს. ჯერჯერობით უცნობია, სად განაგრძობენ ისინი კარიერას.

რაც შეეხება ბარაბაძეს, ის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და "ანჟის" თავკაცებმა მასზე უარი თქვეს. გასულ სეზონში დაღესტნურ კლუბში მოასპარეზე ქართველებიდან შემადგენლობაში დარჩნენ გოჩა ხოჯავა, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ჯიქია და ზურაბ არზიანი. მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე მათ დაემატება ედიკ საჯაია, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი.

ხიზანიშვილი ელერდაისის დანიშვნას გამოეხმაურა

"ბლექბერნის" ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე პოლ ინსის სემ ელერდაისით ჩანაცვლებას ბრიტანულ პრესაში გამოეხმაურა. "ინსის გათავისუფლებამ გული დამწყვიტა, თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობისაც მესმის. როდესაც გუნდი 17 მატჩიდან მხოლოდ სამს მოიგებს, ცხადია, ცვლილებების დროა. "ბლექბერნში" პრემიერლიგიდან გავარდნაზე არავინ ფიქრობს. წინ კიდევ 21 მატჩი გველის და იმ კონტინგენტით, რომელიც "როვერსშია" შეკრებილი, მიზანს უნდა მივაღწიოთ". ხიზანიშვილმა ელერდაისის სამწვრთნელო შტაბში თურქი თუგაის შესაძლო გამოჩენაზეც ისაუბრა და მეგობარს თბილი სიტყვები შეაწია.

"თუგაის დაბრუნება ჩვენს კლუბში ნებისმიერ რანგში გამიხარდება. მის სამსახურს ყველა გუნდი ისურვებდა. თუგაი არა მხოლოდ ჩინებული ფეხბურთელი, არამედ ბრწყინვალე პიროვნებაცაა", - აღნიშნა ქართველმა მცველმა. სემ ელერდაისი ბლექბერნელთა გაწვრთნას მას შემდეგ დათანხმდა, რაც კლუბისგან მყარი პირობა მიიღო, რომ "როვერსის" წამყვანი ფეხბურთელები არ გაიყიდებიან. ამ შემთხვევაში, ძირითადად, საუბარია პარაგვაელ როკე სანრა კრუზზე, რომლის სანაცვლოდ გამდიდრებული "მანჩესტერ სიტი" 20 მილიონ გირვანქას იხდიდა.

თავად ელერდაისი სამწლიანი კონტრაქტის განმავლობაში 6 მილიონამდე გირვანქას მიიღებს.

კარატეს ლეგენდა თბილისს ესტუმრა

საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვია მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი, მერვე დანის მფლობელი, თანამედროვე კარატეს ლეგენდა და XXI საუკუნის ლიდერი სპორტის ამ სახეობაში სენსეი ჰიტოში კასუია.

15, 16, 17 დეკემბერს დიდოსტატმა კასუიამ თბილისში გამართა საერთაშორისო სემინარები და ატესტაციები, რომლებსაც, საქართველოს გარდა, აზერბაიჯანისა და სომხეთის კარატეს ხელმძღვანელები და მაღალი რანგის ოსტატები ესწრებოდნენ.

"წლევანდელი წელი საქართველოს კარატესთვის წარმატებული იყო. სიამაყით გეტყვით, რომ თქვენს ქვეყანაში კარატე ასეთი პოპულარული და წარმატებულია, რაც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ დავით ნამგალაურისა და კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სენსეი კახა ბასილიას დიდი დამსახურებაა. როგორც სხვა წლებში, ისე წლეულსაც, ქართველი კარატისტები საუკეთესო ფორმაში იყვნენ და ეს დაამტკიცეს კიდეც სემინარებსა და გამოცდაზე. დარწმუნებული ვარ, თქვენი სპორტსმენები ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე - კავკასია 2008-ზე ისევ ისახელებენ თავს და მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ თასს, რომელიც მხოლოდ საქართველოში თამაშდება და მსოფლიო კარატეს კალენდარში ოფიციალურადაა მითითებული, ისევ თბილისში დატოვებენ", - განაცხადა "სპორტ-კაფეში" გამართულ პრესკონფერენციაზე ჰიტოში კასუიამ.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ კავკასიის თასზე რუსების ჩამოსვლაც არ გამორიცხა: "ასეთი მაღალი დონის სემინარებისა და ატესტაციების გამართვისთვის დიდ მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტს და მის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს. მასთან ერთად ქართული კარატეს განვითარებისთვის არაერთი ღონისძიება გვაქვს გამართული და შედეგები ყოველწლიურად მაღლდება. არც წელს გვინდა ვუღალატოთ ტრადიციას და კავკასიის საერთაშორისო თასი გათამაშება, რომელიც 21 დეკემბერს ჩატარდება, ისევ საქართველოს გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ჩემპიონატზე ჩამოვლენ აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთისა და უკრაინის გუნდები. შესაძლოა, გვესტუმროს რუსეთის ნაკრებიც, რომელსაც თასის მოგების თეორიული შანსიც კი არა აქვს, რაც ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ მსოფლიო ჩემპიონატებზე. ქართული კარატეს ნაკრების იმედი ამჯერადაც მაქვს - თასს სტუმრებს არ გავატანთ და ჩვენს გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ გავახარებთ".

"დინამოში" ორ ლეგიონერს სინჯავენ

საქართველოს ჩემპიონის თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ისინჯება ორი ფეხბურთელი - ბოსნიაჰერცოგოვინელი ფუად სალიჰოვიჩი და ჩერნოგორიელი დანილო ტომიჩი. ამის შესახებ საფეხბურთო კლუბ "დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

23 წლის სალიჰოვიჩი ამპლუით ცენტრალური მცველია, ხოლო 22 წლის ტომიჩი - მარჯვენა ნახევარმცველი. კარიერის განმავლობაში სალიჰოვიჩს უკრაინის "ჩერნომორეცში", ბოსნიურ "სარაევოსა" და სერბულ "რადნიჩკიში" უთამაშია, ბოლოს კი სერბეთის "ნოვი პაზარის" რიგებში გამოდიოდა.

ტომიჩი თამაშობდა ჩერნოგორიულ "პოდგორიცაში", რომელმაც წლეულს შემოდგომაზე დასრულებულ შიდა ჩემპიონატში მე-9 ადგილი დაიკავა. ის "დინამოს" ფორვარდ ილია სპასოევიჩთან ერთად ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა.

ტომიჩის განცხადებით, აქამდე მას საქართველოსა და "დინამოს" თაობაზე კარგის მეტი არაფერი სმენია, რაც სპასოევიჩის დამსახურებაა: "ჩერნოგორიულ ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიაში ხშირად არის ილიას ინტერვიუები, რომლებშიც "დინამოსა" და საქართველოს თაობაზე კარგის მეტი არაფერი მსმენია. თბილისში ჩამოვედით. ვფიქრობ, პირველმა ვარჯიშმა კარგად ჩაიარა. ერთი შეხედვითვე იგრძნობა, რომ გუნდში ჩინებული ატმოსფერო და სამუშაო განწყობაა". რაც შეეხება სალიჰოვიჩს, ის "დინამოს" დიდ გუნდად თვლის: "დინამო" საქართველოს საუკეთესო და დიდი ტრადიციების გუნდია. კარგად უნდა წარმოვაჩინოთ თავი, რათა თბილისურ კლუბში დავრჩეთ. პირველივე ვარჯიშზე გამოჩნდა, რომ აქ ნამდვილი პროფესიონალები არიან და გუნდშიც კარგი ატმოსფეროა".

მარკოიშვილის მორიგი გამარჯვება

ქართველი კალათბურთელის მანუჩარ მარკოიშვილის ჩინებული თამაშის წყალობით, "ბკ კიევმა" უკრაინის ჩემპიონატის მე-12 ტურში "ბკ-93 პულსარს" 97:78 სძლია და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. მარკოიშვილმა მოედანზე 31 წუთი დაჰყო და 15 ტყორცნიდან 14 გამოიყენა. მანუჩარმა 6-ვე ორქულიანი და 7-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანიდან კი ერთი ზუსტად ტყორცნა.

ამგვარად, მოგროვებულ 22 ქულას ქართველმა კალათბურთელმა 4 პასი და 1 მოხსნა წაამატა, ბურთი კი მხოლოდ ერთხელ დაკარგა და ორი ჯარიმა მიიღო.

მარკოიშვილს ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა, კიეველთა გამარჯვებაში კი წვლილი დაიდეს დროზდოვმა და ბაირამოვიჩმა, რომელთაც, შესაბამისად, 16 და 13 ქულა მიითვალეს. "ბკ კიევს" 12 ტურში 11 მოგება აქვს და პირველ ადგილზეა. მარკოიშვილის კლუბი მომდევნო მატჩს მომავალი წლის 3 იანვარს "სუმიხიმპრომთან" გამართავს.

დე ინგმა "ჰამბურგში" დარჩენა არჩია

"ჰამბურგის" სპორტული დირექტორის დიტმარ ბაიერსდორფერის თქმით, კლუბს და მის ჰოლანდიელ ნახევარმცველს ნაიჯელ დე იონგს ცოტაღა აკლიათ საიმისოდ, რათა კონტრაქტი, რომელსაც 2010 წლის 30 ივნისს გასდის ვადა, ერთი წლით გაახანგრძლივონ.

ჯერაც მოქმედ კონტრაქტში არის ერთი მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ვინმე დე იონგში 2 მილიონ ევროს გადაიხდის, "ჰამბურგი" მას წასვლაში ხელს ვერ შეუშლის.

ახალი ხელშეკრულებით, 24 წლის ჰოლანდიელი, რომელიც 2006 წლის იანვარში ჰანზურ კლუბში ამსტერდამის "აიაქსიდან" გადავიდა, ყოველწლიურად 3,5 მილიონ ევროს მიიღებს და "ჰამბურგის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

"მგლებს" შეფერი დაემტვრათ

"ვოლფსბურგს" "მილანთან" უეფას თასზე სტუმრად გამართულ მატჩში (2:2) მარცხენა მცველი მარსელ შეფერი დაემტვრა.

მან მუხლის ტრავმა მიიღო და მისი მოშუშების შემდეგ, საზამთრო პაუზის დროს, სპეციალური პროგრამით ვარჯიში მოუწევს. კლუბი იმედოვნებს, რომ ის იანვრის ბოლოსთვის, ესე იგი, მეორე წრის დაწყებამდე ისევ მწყობრში იქნება.

"სლავია" დაისაჯა

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა პრაღის "სლავია" 4 დეკემბერს, საკუთარ მოედანზე, "ჰამბურგთან" 0:2 წაგებულ მატჩში გულშემატკივართა ხულიგნური გამოხდომებისთვის 15000 ევროთი დასაჯა.

"ჰამბურგთან" მარცხმა "სლავიას" უეფას თასის პლეი-ოფში გასვლის ყოველგვარი შანსი დაუკარგა. ამ მატჩში ჩეხი გულშემატკივრები მოედანზე პოლიეთილენის ბოთლებსა და სანთებელებს ისროდნენ. ამ ინციდენტის შემდეგ "სლავიას" ხელმძღვანელობამ ქომაგებს სტადიონზე სანთებელების შეტანა აუკრძალა, ხოლო არენის ტერიტორიაზე სასმელი მხოლოდ პოლიეთილენის ჭიქებით გაიყიდება.

ძანეტი ორ ტიტულზე ოცნებობს

"ინტერის" უბერებელი კაპიტანი ხავიერ ძანეტი

მისი დებიუტი "ინტერის" შემადგენლობაში 1995 წლის 27 აგვისტოს შედგა და აი, უკვე 13 სეზონია, რაც არგენტინელი მცველი ხავიერ ძანეტი "ნერაძურის" ღირსებას იცავს. იმ 600-ზე მეტ მატჩში, რომელიც ძანეტიმ მილანური კლუბის მაისურით ითამაშა, კარგიც ბევრი იყო და ცუდიც. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტთან საუბარში 35 წლის ვეტერანი "ინტერთან" ერთად არგენტინის ნაკრებზეც საუბრობს.

- ხავიერ, "ინტერის" შემადგენლობაში უკვე 600-ზე მეტი მატჩი გაქვთ გამართული. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

- ძალიან ბევრს. მით უმეტეს, რომ საუბარია კლუბზე, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მეამაყება, რომ ასეთი ხანგრძლივი და, შეიძლება ითქვას, წარმატებული კარიერა მაქვს. ჩემს მიერ განვლილ გზას რომ გადავხედავ, უამრავი სასიამოვნო ეპიზოდი მახსენდება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ტიტულები.

- ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ალბათ 1998 წელს უეფას თასის ფინალში "ლაციოს" დამარცხებაა, არა?

- რა თქმა უნდა. ის ტიტული ჩემთვის მართლაც განსაკუთრებულია, რადგან ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ჯილდო, რომელიც "ინტერის" შემადგენლობაში მოვიგე, თანაც ფინალურ მატჩში გოლიც გავიტანე.

- ყველაზე ნაკლებად რისი გახსენება გსურთ?

- 2002 წლის 5 მაისი. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი "სტადიო ოლიმპიკოზე". მაშინ "ლაციოსთან" დავმარცხდით და სკუდეტო დავკარგეთ. საოცრად გულდასაწყვეტი იყო და, მერწმუნეთ, იმ თამაშის გახსენება მართლა არ მინდა.

- როდესაც "ინტერში" ჩაირიცხეთ, გუნდი, შეიძლება ითქვას, წარსული დიდებით ცხოვრობდა, აწმყოში კი ვერაფერს იგებდა. ახლა ვითარება შეიცვალა - "ინტერი" ისევ ყველა ტურნირის ფავორიტია, რომელშიც კი იღებს მონაწილეობას. რითი ახსნით ამ ტრანსფორმაციას?

- ძლიერი გუნდის ასაშენებლად დროა საჭირო. მე რომ "ინტერში" მოვედი, გუნდის მშენებლობა იწყებოდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში "ინტერმა" საკუთარი თავი, უფრო სწორად, საკუთარი თამაში იპოვა და შედეგმაც არ დაახანა.

- სხვა კლუბში გადასვლის შანსი არ გქონიათ?

- ცხადია, ასეთი შანსი იყო და თანაც არაერთი. არჩევანი დიდი მქონდა. შემეძლო ინგლისში ან ესპანეთში გამეგრძელებინა კარიერა, მაგრამ მე ჩემს თავს "ინტერთან" ვაიგივებ. ამიტომ დავრჩი ამ გუნდში.

- არაერთ დიდ ფეხბურთელთან გითამაშიათ. რას იტყვით რონალდოს შესახებ?

- ნამდვილი ჩემპიონია. ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით მომიხდა თამაში. ასეთი ფეხბურთელები იშვიათად იბადებიან.

- როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ისეთმა ფეხბურთელებმა, როგორებიც არიან ანდრეა პირლო და კლარენს ზეედორფი, "ინტერში" ფეხი ვერ მოიკიდეს და ახლა "მილანში" ბრწყინავენ?

- ყველაფერი ფეხბურთელის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული. შესაძლოა იმხანად, როდესაც ისინი "ინტერში" მოვიდნენ, რაღაც პრობლემები ჰქონდათ. ყველა ფეხბურთელი თავად ირჩევს თავის გზას. პირადად მე ჩემს არჩევანს არ ვნანობ.

- გული არ გწყდებათ, რომ არასდროს არ მოგიგიათ მსოფლიო ჩემპიონისა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტული?

- მაცალეთ, ამ ტიტულების მოგების შანსი ჯერ კიდევ მაქვს. იმედია, მოვიგებ.

- რას იტყვით არგენტინის ნაკრების იმ თაობაზე, რომელმაც პეკინის ოლიმპიური ოქრო მოიგო?

- ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან. უფრო ტექნიკურები და შესაძლოა ტაქტიკურადაც უკეთ მომზადებულები. იმედია, ეს თაობა არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოუტანს, რადგან არგენტინელები ამას ვიმსახურებთ.

- რამდენად შეიცვალა ფეხბურთი მას შემდეგ, რაც თქვენი პროფესიული კარიერა დაიწყო?

- ბევრი რამ შეიცვალა როგორც კარგისკენ, ისე ცუდისკენ. ამ ცვლილებებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ერთს კი ვიტყვი: ცვლილებები აუცილებელია და ადამიანმა მას ფეხი უნდა აუწყოს.

- 2010 წლის მუნდიალი უკანასკნელი ტურნირი იქნება თქვენს კარიერაში?

- სავარაუდოდ. იმედია, ტურნირს პირველ ადგილზე დავასრულებ. აუცილებლად გავემგზავრები 2014 წლის მუნდიალზეც, რომელსაც ბრაზილია უმასპინძლებს, ოღონდ უკვე არგენტინის ნაკრების გულშემატკივრის როლში.

ვილია 127 მილიონად შეფასდა

მას შემდეგ, რაც "მანჩესტერ სიტი" არაბი მილიარდერების მფლობელობაში გადავიდა, "ქალაქური" კლუბი სოლიდურ ტრანსფერებს არ ერიდება. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში სწორედ "სიტისგან" ელიან ხმაურიან ტრანსფერებს. როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მანჩესტერული გუნდის მფლობელებზე დიდად არ იმოქმედა.

ცნობილია, რომ "სიტის" ესპანეთის ნაკრებისა და "ვალენსიას" ფორვარდის დავიდ ვილიას შეძენა სურს. ვილიას ყიდვაზე არც სხვა კლუბები ამბობენ უარს, თუმცა ამ ორიოდე დღის წინ "სიტის" მესვეურებმა ფეხბურთელზე ისე აწიეს ფასი, რომ სხვა კლუბს ვაჭრობაში ჩართვის სურვილიც არ გაუჩნდება. კერძოდ, ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "სიტი" მზად იყო ვილიაში 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაეხადა. თანხა მართლაც რომ ასტრონომიულია, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ "ღამურების" მეპატრონეები ვილიას ტრანსფერს დათანხმდნენ.

გუშინ ერთ-ერთ ბრიტანულ გაზეთთან საუბარში "ვალენსიას" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლუბი მზადაა შეელიოს ვილიას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი 120 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის. თანხა სამჯერ აღემატება იმას, რის გადახდაზეც "სიტი" ყაბულს იყო.

საეჭვოა, რომ "ქალაქელებმა" ესპანელ ფორვარდში ამდენი გადაიხადონ. ეს, რა თქმა უნდა, "ვალენსიას" მესეურებსაც ესმით. ასეთი თანხის დასახელება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ან "ღამურებს" არ სურთ ვილიას გაყიდვა, ან 40 მილიონი ეცოტავათ და ახლა თანხის გაზრდას ცდილობენ.

ცნობილია, რომ "სიტის" მესვეურები მარკ ჰიუზს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს აძლევენ ახალი ფეხბურთელების შესაძენად. თანხა თავად ჰიუზის შეხედულებისამებრ დაიხარჯება. მწვრთნელს შეუძლია ამ ფულით ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელი იყიდოს.

აბსოლუტური მსოფლიო

გიგა გურასაშვილის ფოტო

პეკინის ოლიმპიურ ტატამზე გუჯეჯიანისთვის სატოში იშის ნახევარფინალური ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდა

გიგა გურასაშვილი

საფრანგეთის ქალაქი ლევალო ძიუდოში აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. ემზადებიან ქართველი მძიმეწონოსნებიც - ზვიად ხანჯალიაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი. ორგანიზატორთათვის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი (20-21 დეკემბერი) იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, წონითი კატეგორიების მიუხედავად. ამბობენ კიდეც, ძიუდო საკუთარ ფესვებს დაუბრუნდაო - ხანას, როდესაც წონითი კატეგორიები არ იყო გათვალისწინებული.

თუმცა, როგორც უნდა იყოს, აბსოლუტურ ჩემპიონატზე 100 კილოგრამზე ნაკლები წონის ძიუდოისტისთვის ასპარეზობა აზრს კარგავს.

ერთი სიტყვით, პეკინის ოლიმპიური თამაშებიდან ოთხი თვის შემდეგ საფრანგეთი უძლიერეს ძიუდოისტებს იკრებს. უმაღლესი ჯილდოსთვის, რომელიც პრემიალური 100 ათასი დოლარითაცაა განსაზღვრული, 32 ვაჟი და ამდენივე ქალი იბრძოლებს.

შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსში ძიუდოისტებმა 2008 წლის საერთაშორისო სეზონი ჯერ კიდევ ნოემბერში დაასრულეს. ქართული ძიუდოს სკოლისთვის კი სეზონი დეკემბრის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატით დასრულდა. გამონაკლისი მხოლოდ მძიმე წონა გახლდათ.

სადებიუტო აბსოლუტურ ჩემპიონატს ეშხს მატებს ისიც, რომ მასში იასპარეზებენ იაპონელები - პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სატოში იში, რომელმაც, სხვათა შორის, იმავე თამაშების ნახევარფინალში ლაშა გუჯეჯიანი დაამარცხა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იასუიუკი მუნეტა, ათენის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კეიჯი სუზუკი. აღარაფერს ვამბობთ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებზე - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ რუს ალექსანდრ მიხაილინზე, პეკინის თამაშების ჩემპიონზე 100 კგ წონაში, მონგოლ ნაიდანგიინ ტუვშინბაიარზე

ყველაზე დიდი გუნდით, რა თქმა უნდა, მასპინძლები გამოდიან და დიდ იმედს ამყარებენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონზე, პეკინის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორზე ტედი რინერზე, რომელმაც გუჯეჯიანს მესამე ადგილისთვის ბრძოლა მოუგო.

საქართველოს ნაკრებს ორი სპორტსმენით ასპარეზობის უფლება მიეცა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ეს შესაძლებლობა გამოიყენა და საფრანგეთში ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი იახლა.

აბსოლუტურ ჩემპიონატზე წამსვლელთა შორის გუნდში ადგილი თავიდანვე ჰქონდა დაბევებული მძიმე წონითი კატეგორიის ლიდერს ლაშა გუჯეჯიანს. რაც შეეხება ნაკრების მეორე წევრს, ის საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულისთვის იყო შეგულებული. ეროვნული ჩემპიონატის (2-3 დეკემბერი) ოქროს მედალი კი ზვიად ხანჯალიაშვილმა დაისაკუთრა.

კარგია, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა ქართველი სპორტსმენები ბადის სხვადასხვა მხარეს ჩასვეს, რაც იმის გარანტიაა, რომ მათი გზები ფინალამდე არ გადაიკვეთება.

საქართველოს ორკაციანი ნაკრები გუშინ დილით გაემგზავრა საფრანგეთში. მანამდე ხაბარელმა თქვა, რომ მშვენიერი სეზონი ჰქონდათ და იქვე დასძინა: შევეცდებით, დასასრულიც ლამაზი იყოსო.

წამსვლელთა შორის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვლადიმერ ნუცუბიძეც უნდა ყოფილიყო (ის ორგანიზატორებმა პირადად მიიწვიეს სამსაჯოდ), მაგრამ ავადმყოფობის გამო თბილისში დარჩა.

"სპორტის ჭირი"

ჰოლიფილდი სიბერეს არ ეპუება და ვალუევთან ბრძოლას აპირებს

20 დეკემბერს ციურიხში, "ჰალენშტადიონზე", რუსების მტკიცებით, საუკუნის კრივი გაიმართება. საერთაშორისო კრივის საზოგადოება ამ ბრძოლას დიდი ეჭვით უყურებს, ზოგიერთი დასცინის, ზოგს კი "სპორტის ჭირად" მიაჩნია.

ალბათ ხვდებით - საუბარია რუსი ნიკოლაი ვალუევისა და ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდის დაპირისპირებაზე.

სპეციალისტები ვალუევს აკრიტიკებენ, რადგან WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს 46 წლის ჰოლიფილდთან რინგზე გასვლა არ ეკადრება.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჰოლიფილდი სერიოზული ძალა იყო და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა, მაგრამ ახლა კრივისთვის მოხუცია, არ შესწევს ძალა რუს გოლიათს წინააღმდეგობა გაუწიოს. ასე რომ, 20 დეკემბრის ბრძოლა შესაძლოა ფარსად იქცეს.

ჰოლიფილდი, რომელიც ვალუევზე 40 კილოგრამით მსუბუქი და 30 სანტიმეტრით დაბალია, უკანასკნელად 14 თვის წინ გავიდა რინგზე და რუს სულთან იბრაგიმოვთან დამარცხდა.

როგორც ჩანს, ჰოლიფილდმა ეს მარცხი არ იკმარა და ახლა სურს ვალუევსაც აცემინოს თავი, თუმცა რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა თავად ვალუევი, როდესაც ჰოლიფილდთან ბრძოლაზე დათანხმდა, ძნელი სათქმელია.

ასეა თუ ისე, ბრძოლა, რომლის შედეგი წინასწარ არის ცნობილი, ხვალ მაინც გაიმართება. გამარჯვებული შეხვდება რუსლან ჩაგაევს, რომელიც WBA-ს ვერსიით მოქმედი, ოღონდ დროებითი ჩემპიონის ტიტულს ფლობს.

ძმები კლიჩკოების მენეჯერმა ბრენდ ბენტემ მომავალ ბრძოლას სირცხვილი და "სპორტის ჭირი" უწოდა. ბენტეს აზრით, ასეთი მატჩების გამართვა კრივს პრესტიჟს ულახავს.

ლორენი გუნდის დაშლას ელის

ინგლისის "პორტსმუთის" კამერუნელი მცველი ბისან ლორენს მიაჩნია, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გუნდს რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელი დატოვებს.

23 წლის მცველი ლასანა დიარა მადრიდის "რეალში" თითქმის გადასულია, 26 წლის ინგლისელი თავდამსხმელით ჯერმინ დეფოთი და 24 წლის მცველით გლენ ჯონსონით კი ლონდონის "ტოტენჰემია" დაინტერესებული.

ლორენი არ გამორიცხავს, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გუნდი თავადაც გამოიცვალოს.

"დიდი გუნდები ჩვენი კლუბის შემადგენლობას პრაქტიკულად აქუცმაცებენ. საუბარია არა მხოლოდ დიარაზე, არამედ დეფოსა და ჯონსონზე, რომლებიც შესაძლოა "ტოტენჰემში" გადავიდნენ. მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, ასეთი პროცესი მოსალოდნელი იყო. გადახედეთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც "პორტსმუთმა" ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიძინა - კემპბელი, კრაუჩი, პედრუ მენდეში, კანუ, დეფო. მათი უმრავლესობა გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. მათ რიცხვს მეც მივეკუთვნები. წინადადებები მაქვს თურქული და ბერძნული კლუბებისგან. ყველაფერი იანვარში გაირკვევა," - ამბობს კამერუნელი.

აფრიკელი კიპერი დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს

ლიბერიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარემ მელვინ კინგმა დოპინგის გამოყენებისთვის ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ლიბერიელ მეკარეს აკრძალული პრეპარატი ორგანიზმში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, სენეგალის ეროვნულ გუნდთან 1:3 წაგებულ მატჩში აღმოუჩინეს.

ფიფას სადისციპლინო კომიტეტი თავდაპირველად კინგისთვის ორწლიან დისკვალიფიკაციას ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ 5 თვეზე შეჩერდა.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 2 ოქტომბრიდან.

კაფუ ფეხბურთს ვერ ელევა

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონი კაფუ რამდენიმე მატჩს ინგლისის მე-8 ლიგაში მოასპარეზე "გარფორტ თაუნში" ჩაატარებს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა საიმონ კლიფორდმა (რომელიც აგრეთვე იმ საფეხბურთო სკოლის მეპატრონეა, რომელშიც ინგლისის ეროვნული ნაკრების მცველი მიკა რიჩარდსი აღიზარდა) კაფუ კარიერის დასრულებამდე "გარფორტ თაუნში" რამდენიმე მატჩის გამართვაზე დაითანხმა.

"სავარაუდოდ, კაფუ მომავალი წლის აპრილში ჩამოვა ინგლისში და გუნდში რამდენიმე თამაშს ჩაატარებს. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ასეთი დონის ფეხბურთელი მოედანზე "გარფორტის" მაისურით გამოვა. ვფიქრობ, ის თავის კლასს აჩვენებს," - განაცხადა კლიფორდმა.

38 წლის კაფუ გასულ სეზონში თამაშობდა იტალიის "მილანში", რომელიც ზაფხულში დატოვა და სხვა კლუბში კარიერა არ გაუგრძელებია.

სხვათა შორის, თავის დროზე "გარფორტში" უთამაშიათ ისეთ ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან სოკრატესი და კარეკა.

ტრომბეტა "კლუჟიდან" დაითხოვეს

რუმინეთის "კლუჟის" პრეზიდენტმა იულიუ მურეშანმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა გუნდის მთავარი მწვრთნელი მაურიციო ტრომბეტა.

"ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ, რომ გუნდმა ზედიზედ 6 თამაში წააგოს. დღეს მხოლოდ ორი რუმინელი სპეციალისტია, რომელსაც გუნდის გაძღოლა შეუძლია - დან პეტრესკუ და რეზვან ლუჩესკუ, მაგრამ გუნდში არც ერთი მათგანი არ მოვა. ასე რომ, მთავარი მწვრთნელის მოძებნა საზღვარგარეთ მოგვიწევს," - განაცხადა მურეშანმა.

ტრომბეტას გათავისუფლების მიზეზი გახდა ის, რომ გუნდი ვერ გავიდა ვერც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირიდან და ვერც უეფას თასზე. ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ რუმინეთის ჩემპიონატში "კლუჟი" ბუქარესტის "დინამოსთან" 6-ქულიან ჩამორჩენას ვერ ამცირებს.

"რასინგი" შემადგენლობას აძლიერებს

ესპანეთის პრიმერადივიზიონში მოასპარეზე სანტანდერის "რასინგი" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ორი ფეხბურთელით - ნახევარმცველ ტონი მორალითა და ფორვარდ ნიკოლა ჟიგიჩით გაძლიერდება. "რასინგმა" 27 წლის მორალი "ალავესიდან" 750 000 ევროს სანაცვლოდ შეიძინა და კონტრაქტი 2012 წლამდე გაუფორმა; რაც შეეხება ჟიგიჩს, მისი იჯარის თაობაზე "რასინგი" და "ვალენსია" ზაფხულში იყვნენ მოლაპარაკებული, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, სერბი ფორვარდი სანტანდერში ვერ გადავიდა, თუმცა ამჯერად ჟიგიჩის იჯარას წინ არაფერი უდგას - ის "რასინგში" მომავალი წლის 30 ივნისამდე დარჩება.

უნაგირა საწევარა
TGA 18.430 4x2 BLS

ემისია: ევრო 3
სიმძლავრე: 430 ცხ.ძ.
კაბინა: XXL. მაღალი ჭერით
ძრავი: D2066LF01 Common-Rail
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S 222 DD ინტარდერით
კრუიზკონტროლი, კონდიციონერი,
სრული ელექტრო პაკეტი,
დამოუკიდებელი გათბობის სისტემა
გარანტია: 2 წელი ან 200,000 კმ

მიწოდების ვადა 1 დღე

ტენტიანი ნ/მისაბმელი
Schmitz Cargobull

მოცულობა: 93 მ³
დაკიდების სისტემა: პნევმატური
გარანტია: 1 წელი

სპეციალური ფასდაკლება
Man Nutzfahrzeuge AG-გან

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: info@ge.man-mn.com
244-744, 895 225-828 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი“ DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ნაბკი რესპუბლიკა“-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია კახაბერ შუბლაძის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2008 წლის 30 დეკემბერს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, გამრეკელის (ყოფ. კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე კახაბერ შუბლაძე მცხოვრები გლდანი მე-5 მკრ, მე-17 კორპ, ბ132. ალტ. მისამართი წყნეთის ქ. ბინაNN6

ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მიმდინარე წლის 3 დეკემბერს და 15 დეკემბერს ერთი ცალი მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის და ორი ცალი მსუბუქი, სედანის ტიპის ავტომანქანების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ: სს ჰიუნდაი ავტო საქართველო და შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი .

განცხადება ტენდერში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტომობილების ლიზინგის საშუალებით შესყიდვის მიზნით გაზეთ „24 საათში" (06 დეკემბერი №273) გამოქვეყნებულ სატენდერო) განცხადებაში შევიდეს ცვლილება და შესასყიდი საქონლის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

შესყიდვის ობიექტი - სატრანსპორტო საშუალება.

ლოტი №	დასახელება	მონაცემები	რაოდენობა	ერთეულის სავარაუდო ღირებულება	მოწოდების ვადა	ლიზინგის ვადა
I	ავტომობილი FJ-კრუიზერი	XTREME, 4X4, 4,0 ლ. ბენზინი, 2008 წლის	1 ცალი	44 500 აშშ დოლარი	მომწოდებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან არა უგვიანეს 8 კვირისა	24 თვე
II	ავტომობილი ტოიოტა რავ-4	გრძელ ბაზიანი, 4X4, 2,4 ლ. ბენზინი, 2008 წლის	2 ცალი	33 150 აშშ დოლარი		
III	ავტომობილი ტოიტა კოროლა სედანი	ZZE141L-AEPDK-AT, 1,6 ლ. ბენზინი, 2008 წლის	3 ცალი	18 900 აშშ დოლარი		
IV	ტოიოტა ჰაილუქსი (პიკაპი)	2007 წლის, 5 ადგილიანი, 2,5 ტ/ დიზელი	2 ცალი	29 500 აშშ დოლარი		
V	საზღვაო გემი (სამეცნიერო მიზნებისათვის)	დამზადებულია 1988 წელს, სიგრძე – 27,8 მ, სიგანე – 6.9 მ, ბორტის სიმაღლე – 3,15 მ	1 ცალი	101 000 ლარი		

განცხადება კონკურსის შესახებ

სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შემდეგ თანამდებობებზე:

ა) ბიოლოგიური ძვრადობის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,

ბ) მოლეკულური ბიოფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,

გ) სტრუქტურული ბიოინფორმატიკისა და სინთეზის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,

დ)ფუნქციური გენომიკის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი,

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი;

კონკურსთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: web-site:http://www.imbbp.org/contest-2009.html და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: web-site:http://www.mes.gov.ge/ **საბუთები მიიღება** მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში. მისამართი: გოთუას ქ. 12, თბილისი. 11-16 საათამდე. **საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს** ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით და ელექტრონული ფორმით. **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 20 იანვარი 16სთ.** კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 26 იანვარს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: e-mail: info@imbbp.org; chelidze@imbbp.org fax:+99532371733; tel: 371733; 374211; 899588964. პასუხისმგებელი პირი: მეგი ჭელიძე



დახატე სახლი
ერთი ხელის მოსმით

იყიდე სახლი
ერთი ხელის მოსმით

იპოთეკური სესხი
ერთი ხელის მოსმით

მხოლოდ 14% -17%
სახლის ღირებულების 75%
სესხის ვადა 20 წლამდე

დაგვირეკეთ: 17 77 77
ან იხილეთ: www.hsbc.ge
ან მობრძანდით: რუსთაველის გამზ. 15

HSBC
თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში

გამოშვებულია სს ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოს მიერ